



გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

მაცნე

სამბრაღიის

N22 (9238)

10 აპრილი, 2017 წელი

ფასი 50 თეთრი



მეცხრე 8 აპრილს

მეტი ვეჩაფეხი ვქენი და ქვას
წამოვავდე ხედი

**25 დღის დინ 14 აპრილის
აფსაზუთში იბი ლაიფუი...**

5

მე ფაკონტყუფად ვერ ჩავთვლი იმას,
რაც ჩემი წებით არ დამითმის!

რა ისწავლა გამგებულმა

2

1 ლარზე დასული
გლეხის იმედი



“ასეთი უხეპდრები
სხვა ქალაქებშიც
გაბრძელებენ”

6

ივარი ჯულაყიძე
მსოფლიოს პრიზიორია
თავისუფალ ჭიდაობაში



“ნაყოფანდობის”
ქანდელატი
ცნობილია

7

ავთანდილ სტუხუას მოქიძალებული ჰასუხი ემზახი მუბდაძეს

თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

რა ისწავლა გამგებელმა

გარდა იმისა, რომ მუნიციპალიტეტის გამგებობასა და საკრებულოში ტრენინგების კურსი ხშირად ტარდება, დღესაც კარგად მუნიციპალიტეტის გამგებელი გახლდათ. როგორც ცნობილი ხდება, მომავალი წლიდან მუნიციპალიტეტში, ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებულთა ცოდნის ხშირი განახლებისთვის, ბიუჯეტშივე ჩაიდება თანხა სხვადასხვა ტრენინგის ჩასატარებლად. მედიისა და პირის სამსახურის წარმომადგენლებისთვის გამართულ ერთ-ერთ ასეთ შეკრებაზე ხაზი გაუსვა, რომ რაიონებში დასაქმებულთ უჭირთ დედაქალაქსა და სხვა დიდ ქალაქებში ჩატარებულ ტრენინგებზე დასწრება, ამიტომ უმჯობესია, მათი ადგილზე გამართვის ორგანიზება თავად გამგებებმა უზრუნველყონ.

როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერი ფოცხვერიამ განაცხადა, ტრენინგი არაერთი საკითხის ირგვლივ იმდროინდელი ინფორმაციას. იგი ინფრასტრუქტურისა და ფინანსთა სამინისტროების მიერ განხორციელებული რამდენიმე ეტაპად ჩატარდა და საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის გამგებლებისთვის გახლდათ განუყოფელი. “ტრენინგებზე მუნიციპალიტეტისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სფეროებსა და თემებზე, ინფრასტრუქტურულ, საფინანსო საკითხებზე, ბიუჯეტზე, საკანონმდებლო ცვლილებებზე, პოლიტიკაზე იყო საუბარი. მოვისმინეთ არა მხოლოდ სალექციო კურსი, საუბრები ყველა სფეროს შეეხო. საინტერესო თემებს შევეხეთ და განვიხილეთ, ახლებურად დაგინახეთ არაერთი საკითხი. ზოგიერთთან მიმართებაში ჩემი პოზიციაც დაგვიფიქსირდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სიახლეს ვეცნობით, რაც დინამიურად ხდება ქვეყანაში, კარგაა, როცა მათ თვით ის პირველები გაეცნობენ, ვინც უშუალოდ არის ჩარეული საკანონმდებლო თუ სხვა მსგავს პროცესებში.” – ამბობს ვალერი ფოცხვერია.

იმ დღეს, როცა თბილისიდან დაბრუნებულმა გამგებელმა ეს მოკლე კომენტარი გააკეთა იმაზე, თუ რა ისწავლა დედაქალაქში და ხაზი გაუსვა, რომ გამოთქმას “სწავლა სიბერემდე”, ყავლი არასდროს გაუვა, გამგებობის სხვალომთა დარბაზში კიდევ ერთი ტრენინგი ტარდებოდა საფინანსო სფეროში დასაქმებულთათვის.



სამტრედიის მუნიციპალიტეტში ტრენინგებით ცოდნის განახლების მსურველთა რიცხვი არცთუ ცოტაა და ყველა მათგანი აღნიშნავს, რომ მათთვის მისაღება ადვილზე ამგვარი შეკრებების სიმრავლე.

თათბირზე ითქვა...

ლევან გაგინაძე

მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიამ ფოცხვერია უძღვევოდა ორშაბათის ტრადიციულ თათბირს, რომელიც ერთობ წარმომადგენლობითი გახლდათ.

თვალშისაცემი იყო ერთი გარემოება: ვიდრე გამგებელი შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებსა და ქალაქში, დაბასა და სოფლებში მისი წარმომადგენლებისაგან ინფორმაციებს მოისმენდა, თავად ეკითხებოდა მათ როდის, როგორ გამოსწორდება ეს თუ ის ხარვეზი. ეს იმის მაუწყებელია, რომ მუნიციპალიტეტის პირველი პირი ამომწურავ ინფორმაციას ფლობს მუნიციპალიტეტში არსებული იმ ვითარების შესახებ ასფალტბეტონის საფარის, ბარიერების მოწყობის, მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფისა და რიგ სხვა საკითხებს რომ უკავშირდება.

– სკოლებთან, მეკეთრეო მოსახლეობის აუცილებლად უნდა გაკეთდეს ბარიერები, მელაურში, კერძოდ, მიწაბოგირაზე უსაფრთხო დარჩენილია გზის მხოლოდ 5 მეტრიანი მონაკვეთი, მეტი ყურადღებაა საჭირო, მსგავსი უზრუნველობის თავიდან ასაცილებლად. – აღნიშნა გამგებელმა.

სამუშაოს ხარისხზე პროექტის აკარგეანობა ახდენს გავლენას, დასძინა გამგებლის პირველმა მოადგილემ დავით ბახტაძემ.

სოფელ დიდ ჯიხაში გამგებლის წარმომადგენლობის სპეციალისტმა ალექსანდრე ლევაგამ სოფლის მოსახლეობის სამადლობელი გაახშირნა, სოფელში 170-ზე მეტმა ადამიანმა გაიარა უფასო სამედიცინო შემოწმება, რითაც ისინი ძალიან კმაყოფილნი არიან.

ცნობისთვის, უფასო სამედიცინო კონსულტაციებს სოფელში როგორც ადგილობრივი, ისე ქუთაისიდან მოწვეული ექიმები აწარმოებდნენ.

გამგებლის წარმომადგენელმა საჯავახოში შავლეგ თარგამაძემ სოფელში ერთ-ერთი ცენტრალური ხიდის ავარიულობის შესახებ ისაუბრა, რაზეც მუნიციპალიტეტის პირველი პირისგან საკითხით დაინტერესებისა და პრობლემის მოგვარებაში შესაბამისი უწყვეტების ჩართვის პირობა მიიღო.

გამგებლისა და მისი მოადგილეებისაგან შესაბამისი დავალებები მიეცათ თათბირის მონაწილეებს.



1 ლარზე დასული გლეხის იმედი

ნათია ნაცვლიძე

ტომრები უხარისხო თხილით კვლავ ივსება, დაავადებული თხილის გული უმეტეს შემთხვევაში დამპალია. ქართული ანდამისა არ იყოს, ცხრა მძისა კი არა, ერთი მძის გასაყოფიც აღარ დაგვრჩა. “ქალბატონო, 20 ცალი გავტეხე და გული არც ერთს არ აღმოჩნდა, ამაში ფული როგორ მოგცეო? – შევესწარი ასეთ დიალოგს ჭანჭურისა ქუჩაზე, სადაც ბანერები წარწერით “ვიბარებ თხილს უმაღლეს ფასად” კვლავ გვიხმობენ. თუმცა წლებიანდელ წელს ვერც თხილის მიმღები ხეირობს და ვერც გამცემი. მხოლოდ რამდენიმე დღით ღირდა ერთი კილოგრამი თხილის ჩაბარება ორი ლარი, რამდენიმე დღეა, ფასი ერთ ლარზე დაეცა და არადა არ იმატებს. წუწუნებს თხილის მომტანი გლეხიც და მისი ჩამბარებელიც. – არ ღირს საერთოდ მოგროვება, მაგრამ ის ერთი ლარიც ხომ ფულია, ამბობენ ადამიანები, რომლებსაც თხილი მიმღებ პუნქტებში სოფლებიდან ჩამოაქვთ. როგორც ჩამბარებლები ამბობენ, აქედან თხილი მეზობელ მუნიციპალიტეტებში გააქვთ. ერთ-ერთი მათგანის თქმით, ჩვენთან თხილის სარჩევი საამქროებიც იყო, მაგრამ ვინაიდან წლეულს თხილი უხარისხოა, ისინი გააჩერეს.



გვესაუბრება სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, მამუკა კვანტალიანი: “სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2466 ჰექტარზეა გაშენებული თხილი. ლიდერობენ სოფლები გომი (500 ჰექტარი), დიდი ჯიხაში (273 ჰექტარი), ნაბაკევის თემი (141 ჰექტარი) ღანრის თემი (181 ჰექტარი). აქედან 106 ჰექტარი გვაქვს პლანტაციის სახით, ესენი ის დიდი ნაკვეთები, რომლებიც ჰექტარ-ნახევარს აღემატება. წლეულს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უფასოდ შეიწამლა თხილი და მოხდა აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლა. ამ საკითხში სამტრედიის მაჟორიტარ დეპუტატს, გია მიქელაძეს დიდი წვლილი მიუძღვის, მაგრამ ფაროსანას გარდა თხილს კიდევ ათი ძირითადი დაავადება აქვს, რასაც ფერმერმა თავისი ძალებით უნდა მიხედოს. ძირითადად შარშან და წლეულს ადრეულ პერიოდში შეიმჩნეოდა დაავადება ნაცარი და ნაყოფის სიდამპლე. ამან, ბუნებრივია, მოსავლიანობაზე უარყოფითი გავლენა იქონია, შემცირდა და გაუარესდა იგი. დიდი მოთხოვნა ჩვენს თხილზე არ არის, ჯერჯერობით თხილი ევროპაში თურქეთს გააქვს, ჩვენ თხილი იმ რაოდენობის არ გვაქვს, რომ პირდაპირი გამტანი ვიყოთ, იძულებულ-

ნი ვართ, მივიღოთ გამტან ქვეყნას, თურქეთს. რაც გადის ქართული თხილი საქართველოდან, ხვდება თურქეთის, ტრანზიტული ქვეყნის მეშვეობით როგორც ევროპის, ისე აზიის ბაზარზე. ჩვენს მუნიციპალიტეტში ფართობების უმრავლესობა ახალნარგავობას წარმოადგენს, ჯერ ეს თხილი სრულ მსხმოიარობაში არ არის შესული და 3-4 წლის შემდეგ მოსავალი მეკეთრად გაიზრდება.”

ვისაც საკუთარი თხილი არ აქვს, ან უკვე დაამარაგა და დამატებითი შემოსავლის მიღება სურს, ბრძედებად ერთიანდებიან და ჩვენს მეზობელ თურქეთს სტუმრობენ თხილის საკრეფად, სადაც, როგორც ჩანს, თხილი დაავადებისაგან დაცულია. ეს საქმიანობა წლებია, უმუშევრობით გაწამებული ჩვენი თანამემამულეების შემოსავლის წყაროდ იქცა.

განცხადება

ა(ა)იპ “საზოგადოება სამტრედიელის” წევრთა საყურადღებოდ!

21 ივლისს გამართული “საზოგადოება სამტრედიელის” რიგგარეშე დარბაზის სხდომა არ შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმურად, რადგან “საზოგადოება სამტრედიელის” მესამე წელია, არ გააჩნია საბანკო რეკვიზიტები, რის გამოც ორგანიზაცია სათანადოდ ვერ ფუნქციონირებს.

იმისათვის, რომ ორგანიზაციამ კანონიერად განახორციელოს წესდებით დაკისრებული ვალდებულებები, პირველ რიგში, უნდა ჩატარდეს “საზოგადოება სამტრედიელის” დამფუძნებელთა საბჭოს სხდომა, რომელიც მიიღებს საბანკო რეკვიზიტების აღდგენის გადაწყვეტილებას. სწორედ ამის შემდეგ მოწვეული იქნება დარბაზის სხდომა გამგებობის ახალი შემადგენლობის ასაჩივრად.

თბილისი, 21 ივლისი 2017 წელი
 ა(ა)იპ “საზოგადოება სამტრედიელის”
 თავმჯდომარე

პროკურატურის საქმიანობაში მუში ჩართულობისთვის

თმა გაგუნაშვილი

“საბჭო შეიკრიბება არა მხოლოდ შეკრებისთვის, არამედ, ქმედითი ღონისძიებების გასატარებლად, პრობლემების გადასაწყვეტად. ამის მაგალითი ამ შეკრებაზევე გვაქვს” – ეს სხდომის დასრულების შემდეგ სამტრედიის რაიონული პროკურორის, მალხაზ გეწაძის სიტყვებია. სხდომა ადგილობრივი საბჭოსი გახლდათ, რომელიც ვანში გაიმართა. უფრო გასაგებად, საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ დაწყებული პროექტით რაიონული პროკურატურების ყველა ადგილობრივი საბჭო, ეს ჯერ კიდევ ვასულ წელს და მისი დაფუძნების პირველივე სხდომის მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე თავად ხელმძღვანელობდა. პროექტი პროკურატურის საქმიანობაში მეტად ჩართულობას გულისხმობს.

ადგილობრივი საბჭო ადგილობრივ დონეზე შექმნილი საკოორდინაციო ორგანოა, რომლის შემადგენლობაში შენაგან საქმეთა სამინისტროს, პრობაციის ბიუროს, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი თვითმმართველობების, პროკურატურის წარმომადგენლების და საზოგადოების სხვა წევრები უნდა იყვნენ წარმოდგენილი. ვანში გამართულ სხდომაზე რაიონულმა პროკურორმა მალხაზ გეწაძემ ხაზი გაუსვა, რომ საზოგადოების ნებისმიერ წევრს სურვილის შემთხვევაში შეუძლია საბჭოს წევრი გახდეს. მართალია, იმ სხდომას, გარდა სხვადასხვა წევრი უწყებების წარმომადგენლებისა, საზოგადოების მხრიდან ინტერესი აკლდა, მაგრამ “ვიმედ-

ონებთ, მალე ეს გულგრილობა აღმოფხვრება და პროექტი კიდევ უფრო საზოგადო გახდება, ვიდრე იგი დღემდე არის. თუმცა, ამ კონკრეტული შემთხვევის გარდა, ამ დიდი პროექტის სხვა შეხვედრებსა და შეკრებებზე, უბრალო მოქალაქეების მხრიდან უინტერესობას არ უჩივით.” – აღნიშნა მალხაზ გეწაძემ. სამტრედიის რაიონულ პროკურატურაში, რომელიც ვანის, ხონისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტებს აერთიანებს, შექმნილი საბჭოს შემთხვევაში, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სტრუქტურებისა, საბჭოში შემავალი სუბიექტების რიცხვს სამივე მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების წარმომადგენლები დაემატნენ. ამის საჭიროება მალხაზ გეწაძემ არასრულწლოვანთა დანაშაულის თემის სენსიტიურობიდან გამომდინარე დაინახა.

ადგილობრივი საბჭოს შექმნის იდეა და ფუნქციები რეგიონში არსებული კრიმინოგენური მდგომარეობის განხილვას, გადაწყვეტილებების მიღებას რეგიონისთვის საჭირო პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, დანაშაულის პრევენციის მიზნით ინიციატივების შემუშავებას, სხვა სახელმწიფო უწყებებთან და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინირების გეგმის დასახვას გულისხმობს. მის მიზანს დანაშაულის პრევენციის საშუალებების გამოყენება და არასამთავრობო ორგანიზაციების შორის თანამშრომლობის გაღრმავება, საზოგადოების ჩართულობის განხრად კონკრეტულ რეგიონში განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებში, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენების გააქტიურება, ადგილობრივ დონეზე პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისას ინიციატივებისა და წინადადებების მომზადების წახალისება წარმოადგენს.

დანაშაულის პრევენციის ხარისხის გასაუმჯობესებლად საზოგადოებრივი ჩართულობით ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული დანაშაულის პრევენცია საბჭოს სტრატეგიული მიზანია. საუკეთესო პრაქტიკის იდენტიფიცირება და გავრცელება კი საბოლოო აუცილებლობა.

ადგილობრივი საბჭოს სხდომაზე რამდენიმე საკითხზე იმსჯელეს. მათი მოგვარების გარკვეული კონტურები გამოიკვეთა კიდევ.

საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა როგორც სასჯელი, მისი აღსრულება და დამოუდებულება ამ პროცესის მიმართ როგორც დამსაქმებლის, ისე მს-



ჯავრდებულის მხრიდან საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა გახლდათ. “უახლოეს მომავალში დამსაქმებლებთან და პრობაციის ოფიცრებთან ერთად დაგეგმილ შეხვედრაზე, ვიმედოვნებთ, საკითხის ირგვლივ ყველა ნიუანსი გაირკვევა. აქ ძირითადი პრობლემა შეიძლება იყოს არასწორი აღქმა იმის, თუ რა არის ამ ყველაფრის შინაარსი. კანონის ერთ ამ თემამზე საუბარი, საგარეოდ, მოგვცემს იმ შედეგს, რისი დადგენა უნდა კანონმდებელს, როცა კანონს წერს.” – აცხადებს მალხაზ გეწაძე.

არასრულწლოვანთა დანაშაული და მათი აღმოფხვრის გზების ძიება, ზოგადად დამოუდებულება მათი და მათი დანაშაულისადმი, ფართო მსჯელობის საგანი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ საგანგაშო მდგომარეობა არ არის რეგიონში, “მაინც განსაკუთრებით



საერთიანო და სენსიტიური თემაა. ამ-იერიდან საბჭოს წევრების მიერ გამოთქმული სხვადასხვანაირი ხედვითაც შეგვიძლია ჩავატაროთ გარკვეული ღონისძიებები. თუმცა, კარგი იქნება ახალგა-

აფრთხო, თუმცა, საკმაოდ საშიში იარაღის შექმნა უპრობლემოდ შეუძლია ყველას, თუნდაც შესაბამისი საიტი. აღინიშნა, რომ ზოგიერთი ლაფსუსი თავად კანონში გაპარებული, უნდა გასწორდეს. “სასურველია დაგაყენოთ ინიციატივა, რომ ეს ყველაფერი რეგულირებული იქნეს კანონის დონეზე და არ იყოს ასე ღიად დარჩენილი.” – აღნიშნა სხდომაზე რაიონულმა პროკურორმა.

“პრობლემა კონკრეტული რეგიონისთვის ნიშნავს იმას, რომ მას უნდა მიხედოს კონკრეტულმა რეგიონმა. ტრადიციების, ღირებულებების, მენტალიტეტის, სოციალური ფონის გამო, იმის გამო, რომ საქართველოში სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური წარმომადგენლობის ადამიანი ცხოვრობს და არის საზოგადოების

ზრდებთან, საჯარო სკოლებში გავაზნობით საუბრები, ჩავატაროთ შესაბამისი ღონისძიებები იმაზე, რომ სწორად გაიმიჯნოს მშობლების, პედაგოგების და ახალგაზრდების არა მხოლოდ უფლებები, არამედ მოვალეობები. უნდა ვასწავლოთ მათ, რომ მისი თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი და თავისუფლება უფლებებზე მეტად მოვალეობაა. ჩვენი უფლებების გამო ამხე მათთან ყველა შეხვედრაზე მაქვს საუბარი.” – აღნიშნა მალხაზ გეწაძემ.

დააყენეს არაცეცხლსასრული პნემატური იარაღის შექმნა-შენახვისა და გამოყენების საკითხი, რომელიც გარკვეულ სამართლებრივ პრობლემას ქმნის. მაგალითად სამტრედიის სკოლის დამამთავრებელ ბანკეტზე მომხდარი რამდენიმე შემთხვევა მოიყვანეს. როგორც აღინიშნა, ამგვარი, ერთი შეხედვით უს-

წევრი, პრობლემები რეგიონების მიხედვით განსხვავებულია. აბსოლუტურად სხვა რაყურსი აქვს ამ საკითხებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში.” – ამ სიტყვებით მალხაზ გეწაძემ ხაზი გაუსვა, რომ ჩვენი რეგიონისთვის დამახასიათებელ პრობლემათა ცენტრში არასრულწლოვანებთან სქესობრივი კავშირი, ნადრევი ქორწინება და ოჯახური ძალადობა დგას.

მხოლოდ სხდომების გამართვისთვის რომ არ შეიკრიბოს, საბჭოს გადაწყვეტილებები გათვალისწინებული იქნება პროკურატურის, პოლიციის, პრობაციის ბიუროს პრაქტიკულ საქმიანობაში. დაბოლოს, კიდევ ერთხელ – საზოგადოებრივი საბჭოს მუშაობაში ჩართვის შესაძლებლობა და უფლება, სურვილის შემთხვევაში საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს.

ადმინისტრატორის კურსების მსმენელებს სერტიფიკატები გადაეცა

ნანა იმნაძე

სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიაში ადმინისტრატორის კურსების მსმენელთა ორდღიანი ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგზე საუბნო კომისიის კენჭისყრის პროცესები დეტალურად გაიარეს. კერძოდ, კომისიის წევრებმა შეისწავლეს დილის 7 საათიდან 8 საათამდე ჩასატარებელი პროცედურები; დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე ჩასატარებელი პროცედურები, ასევე საღამოს 8 საათიდან შემდგომი ექვსი შედგენამდე ჩასატარებელი ყველა საგადადებელი პროცედურა.

ორდღიანი კურსის გავლის შემდეგ ადმინისტრატორის კურსის მსმენელებს გადაეცათ ცეცხოს მიერ დადგენილი საარჩევნო ადმინისტრ-



ატორის კურსების მსმენელთა სერთიფიკატები.

54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიაში ადმინისტრატორის კურსების მსმენელთა 44 კაციანი ორი ჯგუფი დაკომპლექტდა.

ნანა იმნაძე 54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: “საარჩევნო ადმინისტრატორის კურსების მსმენელებს ტრენინგმა შესძინა და აუმაღლა საარჩევნო უბნის კომისიის წევრთა უნ-

არ-ჩვევები, გაუღრმვა ცოდნა კენჭისყრების დღის პროცესებთან დაკავშირებით, რაც, სურვილის შემთხვევაში, მათ შესაძლებლობას მისცემს, არჩევნების გამოცხადების შემდეგ მიიღონ კონკურსში მონაწილე-

ობა. მათი სერთიფიკატი ერთ-ერთ მნიშვნელოვანი დოკუმენტი იქნება, არჩევნის დროს საარჩევნო კომისიის წევრებმა კონკურსში მონაწილეთა შორის უპირატესობა მიანიჭონ”.



25 წელს წინ 14 აპრილის აფხაზთა მიმართ დაწყებული...

“მე დავკარგე ყველაფერი ვერ ჩავთვლი იმას, რაც ჩემი ნებით არ დამითმის!”



ლიპიან გაგაჩინა

ვერაინ წარმოიდგენდა მამის, თუ მოვლენები ისე მძაფრად განვითარდებოდა, ყველაფერი ისე მძიმე შედეგებით დასრულდებოდა, როგორც შემდეგ მოხდა.

გადამწვარი გაგრა.
გულრიფში.
გულაუთა.

დაცემული სოხუმი.
გაგრის სტადიონი – ქართველთა მოკვეთილი თავებით ერთობოდნენ რუსული სეპარატისტების მიერ გულმოდგინებით არაკაცი აფხაზები.

დევილიები.
გრძელი, გაუსადღისი გზა დევნილობისა.

ჭუბერი,
ზამთარი,
ყინვა,
სუსხი.

საქართველოს ამერ-იმერში კომპაქტურად თუ ცალ-ცალკე ჩასახლებული ფუტყაყრილი, წერვებანაწილი ქართველები. სად არ ნახავდით დევნილებს! სად არ ნახავდით ადამიანებს, ისევე გაუნებლებელი მოლოდინით რომ ეგებებოდათ ყოველ ახალ გათენებულ დღეს – იქნებ დაუბრუნდნენ მშობლიურ კერას.

ძნელი, ძალზე ძნელი იყო მოსასმენად ჩვენი კოლეგის ფატიმა ჭანტურას მონათხრობი თავს გადახდენილი უბედურების შესახებ.

დედამისი, თავად და მისი და მამამ სამშვიდობოს გაიყვანა, მამის შესახებ კი დღემდე არაფერი იციან.

სამტრედიამი ყოფილი სასტუმროს შენობაში ცხორებდა ამაჟამად ფატი ჭანტურას ოჯახი, ცხოვრობდა, როგორც ყველა დევნილი, აფხაზეთში, მშობლიურ მხარეში დაბრუნების დიდი იმედით.

მასხოვს ახალგაზრდა ნიჭიერი კაცი ალექსი კვატანია, კონარიდან იყო, ლექსები მოჰქონდა რედაქციაში, ისეთი ლექსები აუღელვებლად რომ ვერ წაიფითხავდი. ზღვის ხმაური, პალმების შრია-

ლი მღვიმეებსო, საოცარი ნოსტალგიით რომ იტყვოდა.

დიდ ჯიხაიში, ყაზბეგის სკოლაში ახალგაზრდა ქალბატონი მოვიდა, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვარ. დევნილი გახლავართ, იქნებ მამუშავოთო, ითხოვა. ორი პედაგოგისათვის სამყოფი რუსულის საათები, მართალია, სკოლაში არ იყო, მაგრამ...

მაგრამ უსათინოესმა ქალბატონმა გულნარა რუხაძემ რამდენიმე საათი დაუთმო და ქალბატონი მზია ჩოგორაია ჩვენი პედაგოგიური კოლექტივის ღირსეული წევრი გახდა. მისი მეუღლე ბატონი ვაჟა მაისურაძე და ქალიშვილებიც, რომლებიც ყაზბეგის სკოლის მოწინავე მოსწავლეები იყვნენ, მალე შეიფარა სოფელმა.

ძალიან აღელვებული, ატირებული მოვიდა ერთ დღეს მზია სკოლაში. დედა გარდაემცვალა, გვითხრა კოლეგებს. მასთან ერთად ჩვენც ვტიროდით უკვე შორეულ აფხაზეთში გარდაცვლილ ქალბატონს და რამდენადც შეგვეძლო, თანაუგრძობდით ქალბატონ მზიას. არც დღეს გაგვიწყვეტა ურთიერთობები მზიასთან, ალალი ცრემლით გააცილეს დიდჯიხაიშელეებმა იმიერში ბატონი ვაჟა მაისურაძე, კაცი, სამარეში რომ თან წავიდა აუხდენელი ოცნება აფხაზეთში დაბრუნებისა.

ოჯახიც შესანიშნავად გამართეს, შეიღებინა საამაყონი ჰყავთ, სახელიც კარგი დაიმკვიდრეს სამტრედიამი ლილი და მიტუშა ლიპარტიყმა, თუმცა, დღეს ათჯერ რომ შეხვდეთ ბატონ მიტუშას, თუნდაც წუთით, არ შეიძლება არაფერი გაიხსენოს აფხაზეთზე, იქაურ მეგობრებზე, მეზობლებზე, მის საქმიანობაზე. არავის გვევირს, ძნელია, წლების მანძილზე ნალოლიავეები ოჯახის დატოვება და ლოდინი, დაუსრულებელი ლოდინი.

სამტრედიამი დაიბადა კირილე რევიშვილი, სამტრედიის პირველი საშუალო სკოლის შემდეგ სავალდებულო სამხედრო სამსახური მოიხადა და რიგის უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტე-

ტზე ჩაირიცხა. აქტიურად ჩაერთო ტერიტორიული მთლიანობისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში სამტრედიელი ახალგაზრდა.

1993 წლის 4 ოქტომბერი. ოჯახმა, ქალაქმა კირილეს გმირულად დაღუპვის ცნობა მიიღო. ოჩაჩიის რაიონში, სოფელ ტამიშთან დაიღუპა, გმირის სიკვდილით.

ქუჩას, სადაც იგი ცხოვრობდა, მისი სახელი მიენიჭა, არ იფიქრებენ ახლობლები, მეზობლები, მეგობრები სამშობლოს ერთგულ ვაჟისკაცს.

სამტრედიელი დავით ლევიძე ერთ-ერთი მათგანია, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში რომ ჩაება აქტიურად.

დღითი ობოლმა ბიჭმა ცალი ფეხი დაჰკარგა, ინვალიდი დაბრუნდა, ახლა კი ოჯახთან ერთად ისევ სამტრედიამი ცხოვრობს.

შეუძლებელია საუბარი აფხაზეთის მოვლენებზე ისე, რომ არაფერი ითქვას დევნილობა ყოფაზე.

იმის მიუხედავად, რომ აფხაზეთისა და საქართველოს ხელისუფლება გაუნებლად ზრუნავს მათზე, მათი ყოფილი პირობების გაუმჯობესებაზე, ჯანდაცვაზე, სწავლაზე და ა. შ. მაინც არის შემთხვევები, როცა გაუსადღისა ბევრი მათგანის ყოფა.

მეოცე საუკუნის მიწურულს მრავალჭირგამოვლილ ქართულ მიწაზე წარმოებულმა ამ ომმა “უხვად მოიტანა ცრემლი და ცხედრები” იმუნენ გმირები, ჩვენი დროის გმირები. ბევრნი, ძალზე ბევრნი არიან ისინი.

გმირობისა და სამშობლოსათვის სიცოცხლის უყოფმანოდ განწირვის ჩინებული მაგალითი მისცა ერს, მომდევნო თაობებს ყოვლი შარტავამ, რომელიც აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ მუშაობდა რთულ პერიოდში.

არ დატოვა აღმოდებული სოხუმი ყოვლი შარტავამ.

არ უღალატა მოძმეთ, სამშობლოს, მრწამსს.
აფხაზეტმა მოკლეს იგი ვერაგულად.

პარადა

განგებავ! ამას ნუ მიწყენ, ვერ გადავკარდე გვარადა, ხანდახან დავიღუღუნო მამაპაპური ვარადა. იგი ღულუნი – სიმღერა არ არის გასახარადა, ის არის მძიმე მოთხრობა გულისა სატკივარადა. ისა ჰგავს დედის საფლავზედ ობლისა მოთქმას მწარადა, კვნესის და კვნესის ქვითინებს მტარვალის ჩვილის გვარადა. უცნობს თუ ვითა ცხოვრება ათასის წლისა წყნარადა ერთბაშად, ერთის მობერვით სულ წარხვეტილა ქარადა! ზოგჯერ გიჟურად შეკვივლებს ბედისა სამუქარადა, ეტყვის, მარტოვა დამაგელ ნაწყვეტად, ნახარადა; მივირის საწუთროს ვენებანი ვის ჰფხვრიან, ვის სახმარადა და მსგავსსა ბოროტებასა ყურსა არ უგდებს ცა რადა? განგებავ! გვედრებ ნუ მიწყენ, თუ რომ შეგჩივი მარადა, ხანდახან დავიღუღუნო ვაი და ვაი ვარადა!

ლექსი ამოღებულია სიმონ ჯანაშიას ნაშრომიდან “გიორგი შარვაშიძე, ნარკვევი აფხაზეთისა და სამეგრელოს კულტურული ისტორიიდან”, 1939 წელი.

მეცხრე 8 აპრილს

მეტი ვეხაფეხი ვენი და ქვას ნამოვავდე ხელი

თბილისი

აგვისტოს მცხუნვარე მზე ისევ ააელვარებს საფლავის ქვაზე ამოტვიფრულ სახელებს. ცოტანი არ არიან, მეტიც, ბევრია იმ პატარა ქვეყნისთვის, საუკუნეების დინებისას გზადაგზა სისხლად რომ ღვრიდნენ ნადიდგორალს, ნაშამქორალს... უკვე მეცხრე წელია, ყაყჩაოები გულზე კიდევ ერთხელ დაღვრილი ქართული სისხლის სიმბოლოა და შინდისში, ძმათა სასაფლაოზე მიწა ინახავს მასზე საუკუნოდ მიბარებულ შვილებს. მეცხრე წელია, დასაღვრელ ცრემლად ქცეული შავოსანი დედების თვალელები ვედრებით შეჭყურებენ შავ მარმარილოს.

პათეტიკასა და ემოციას მოკლებულ შიშველ რეალობაში უბრალოდ ითქმის ინფორმაციის ქრონოლოგიურობით: 2008 წლის 8 აგვისტოს რუსულმა ჯარებმა იერიში მიიტანეს ... და ასეა დანარჩენი მსოფლიოსთვის, თუნდაც თანამოაზრისთვის, მარტო ქართველისთვისაა ჭრილობა პირმოუკრავი.

იმ ცეცხლიანი, სისხლიანი, ცრემლიანი აგვისტოს მერე, მეცხრეჯერ ისევ მოვიდა აგვისტო და 08.08.08 ტკივილთან ერთად სიამაყით აღსანიშნავ დღედ გათენდა.

ქართული ბუნების ნაკლია თუ ღირსებით, ამ მოსაზრებასაც გამოუჩნდებიან მომხრეები და მოწინააღმდეგეები. ვისთვის ოკუპანტი, ვისთვის კი მოძმე, მტრად მოსული მოყვარე ან მოყვრად მოსული მტერი კი ისევ სამისოდ ღობავს საზღვარს და ლამის დაიმისოს სამაჩაბლო, საქართველო ამოძირკვის აფხაზეთში.

ყაყჩაოს გულზე და გვირგვინებულ შეკრულ ყვავილებს 8 აგვისტოს ყველაზე უფრო იხდენ ქართული რეალობა. ასეა დანარჩენ საქართველოში და ასე იყო აქაც, სამტრედიამდე. შინმოუსვლელის მემორიალი სამშობლოსავით აენთო სანთლად დაღუპულთა ხსოვნას.

და ისევ ქართული ბუნების ნაკლოვანება – ხელისუფლება და ოპოზიცია ცალ-ცალკე გამოვიდნენ დაღუპულთა პატივსაცემად. თუმცა ეს არანაადია, ასეა ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე. გასაოცარი იმ წელს იყო, როცა ეს პირველად მოხდა. ახლა საზოგადოებაც მიეჩნია. საზოგადოება კი, საზოგადოება კიდევ უფრო ცოტა იყო იმ დღეს იმ მემორიალთან. უკეთ რომ ვთქვათ, რიგითი სამტრედიელები, ადმინისტრაციულ სახლში დასაქმებულთა გარდა, საკუთარი ყოველდღიური საზრუნავით გაცილებით მეტად დაკავებული აღმოჩნდნენ. “წითელი ჯვრის” სამტრედიის ორგანიზაცია და “სახლი თანადგომა” ის გამოჩინდნენ, 8 აგვისტოს დღეების მემორიალთან თაიფულებს მათი სახელით მიტანილიც რომ მიუმატეს.

“არაერთი ომი გადახდენია და გადაუტანია საქართველოს და იმედია, 2008 წლის ომი უკანასკნელი იქნება მის ისტორიაში. ამ ომმა გვაჩვენა, თუ როგორი ვერაგია დამპყრობელი და როგორი გმირები გვყავს ჩვენ. არაერთი ქართველის გვერდით ოთხი სამტრედიელი დაიდუპა. მათი ხსოვნა არ გვაძლევს უფ-

ლებას სისხლით დაკარგულის დასაბრუნებლად არ ვიბრძოლოთ.” – მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერი ფოცხვერიამ ამ სიტყვების შემდეგ ისიც აღნიშნა, რომ “შეიძლება ამ ომის თავიდან აცილება. ვეთანხმები მათ, ვინც ასე ფიქრობს. რაც შეეხება დღეს კიდევ უფრო ღრმად გადმოწეულ საზღვრებს, როცა გყავს ისეთი მეზობელი, როგორც გყავს, უნდა ელოდო პროვოკაციებს.”

გამგებლის მოადგილე დავით ბახტაძე შინმოუსვლელის მემორიალთან ცხრა წლის წინანდელი განცდების გამოძახილად ამბობდა: “ტკივილიანია აგვისტოს ეს დღე და მისი მომდევნო დღეები საქართველოსთვის. განსაკუთრებით ომში დაღუპულთა ოჯახებისთვის. მათი ხსოვნა სხვა მრავალთან ერთად სამშობლოსთვის მართლაც სანთლად ასანთდება.”

“სულიერი შემართება ქართველ კაცს არასდროს მისცემს დანებების უფლებას. საუკუნეები იბრძოდა და მჯერა, ბოლომდე, გაბრწყინებამდე

იბრძოლებს საქართველო ერთიანობისა და სიყვითისათვის.” – ამბობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია

მას შემდეგ რაც მემორიალი გვირგვინით შეამკეს საზოგადოება “სამტრედიელის” სახელით, საზოგადოების გამგებების წევრმა, მოგელი კუპრეიშვილმა გმირად ქცეული ოთხი სამტრედიელის, მარლენ ბარამიას, ავედო ლომიძის, ლევან მელქაძისა და ლაშა თევზაძის ოჯახებს და მიუღ საქართველოს სამდიმარი კიდევ ერთხელ გამოუცხადა: “ამ ბიჭების ოჯახებისთვის, მათი დედებისთვის, მამებისთვის, შვილებისთვის ომი არ მთავრდება. მაღლობა მათ ამ ტკივილის ატანისთვის და იმისთვისაც, რომ საკუთარი სისხლი და ხორცი გმირებად აღზარდეს.”

ყოფილი შურნალისტები არ არსებობენ, შურნალისტები შურნალისტებად რჩებიან! სწორედ მედიის წარმომადგენლის ამპლუაში გვიოხრა რამდენიმე სიტყვა იზა სანიციძემ: “უკვე წამოსული გახლდით ტელევიზიიდან, მაგრამ განცდით მაინც იქ ვიყავი, შურნალისტებაში და იმ თვალთ ვუყურებდი მაშინდელ მოვლენებს. რასაკვირველია, მტერია რუსეთი, ოკუპანტია! მახსოვს, იმ დღეებში მე-12 საჯარო სკოლასთან გახლდით, რუსულმა თვითმფრინავმა ცას რომ გადაუარა. მეტი ვერაფერი ვქენი და ქვას წამოვავლე ხელი.”

მერე იყო საფლავები, გმირებად ქცეული ბიჭების საფლავები, ჯერაც რომ არ შემოიბრათ მშობლებისა და შვილების, ცოლებისა და სატრფოების ცრემლი. საფლავები, სადაც სხვას ვერაფერს იტყობი, თუ არა იმას, რომ ქართველობა გმირად დაბადებას ნიშნავს. ეს ჩვენი ვალია სამშობლოს წინაშე. უბრალოდ, ყველას არ ეძლევა ამ ვალის მოხდის შესაძლებლობა. ამ ომში დაღუპულ ბიჭებს მიეცათ და მაღლობა მათ ამ ვალის პირნათლად მოხდისთვის.

და რა შეიცვალა ცხრა წლის შემდეგ?! მეცხრე რვა აგვისტოს, გმირობის და თავდადების ლექსად სათქმელს, ქართული რეალობა კვლავ მოყვრად მოსულ მტერთან ჭიდილით შეხვდა.



“ასეთი შესვედრები სხვა ქალაქებშიც გაბრძნდება”

ქართული ჟურნალი

“საქართველოს პატრიოტთა ალიანსი”-ის თხოვნით პარტიის, 2016 წლის ბარათი რომ გადაღობა და “ქართული ოცნება-სიან” და “ნაციონალური მოძრაობისთან” ერთად პარლამენტში შევიდა. იგი ასევე იმ პოლიტიკურ პარტიათა უმცირესობაშია, რუსეთთან დაილოცეს რომ ირჩევს. მუტიც, თავის წარმომადგენლობას ვზავნის მწიბვალ სახელმწიფოში და შეხვედრებს მართაგს რუსეთის სათათბიროს წევრებთან. სთავაზობს რუსეთ-საქართველო-ნატოს ფორმატს, მსჯელობს ვიზიტის გამართვასა და სხვა საკითხებზე. ამასთან, საქართველოშიც იწვევს მათ.

“პატრიოტთა ალიანსი” მუდმივად უცხადებს უნდობლობას საქართველოს ხელისუფლებას და ქვეყნის განვითარებისთვის მიღებული გადაწყვეტილებებს უწუნებს. მთავრობის შეცვლის მიზნით იგი სექტემბერში აქციებს აანონსებს. მანამდე კი ჩადის რეგიონებში, ხვდება მოსახლეობას და გერადით დგომისთვის უკეთეს ქვეყანას პირადობა. პარტიის ვებგვერდი მდივანი არმა ინაშვილი თავის თანაპარტიულთან ერთად სამტრედიასაც ეწვია. შეხვედრა “მომაგლის პარკში” გაიმართა. შე-

ხვედრებს ის პოლიტიკურ ვითარებასა და პარტიის სამომავლო გეგმებზე ესაუბრა, მათ პრობლემებსაც გაეცნო და “სამტრედიის მაცნესაც” ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა.

– ეს შეხვედრა არჩევნებთან კავშირში არ არის. არჩევნებისთვის და ინტენსიურ შეხვედრებს მერე დაიწყებთ. ამჯერად კი, როგორც დეპუტატმა, პარლამენტის წევრმა, მთელი საქართველოს მასშტაბით მინდა შეხვედრები გამართო. კიდევ ერთხელ მოვისმინო ამ ადამიანებისგან, როგორ ცხოვრობენ, რა უჭირთ, რა ულხინთ, რა არის მათთვის მთავარი პრობლემა, ძირითადად, ყველგან ივევლება სოციალური დახმარების მოხსნის თემა, სიღატაკე, ეკონომიკური სიღრუხობა. ასევე, მე მათ ვესაუბრე ჩვენს გეგმებზე, საპროტესტო აქციებზე, რომელიც სექტემბრიდან დაიწყება და მთავარი მოთხოვნა იქნება მთავრობის გადადგომა. ასეთი შეხვედრები სხვა ქალაქებშიც გაგრძელდება.

– ფიქრობთ, რომ თქვენ შეძლებთ მთავრობის გადაყენებას? რა გამლევეთ ამის იმედს?

– ჩვენ გადავაყენებთ ამ მთავრობას, დარწმუნებით გეუბნებით, იმიტომ, რომ ხალხისთვის სასიკეთო არაფერი გააკეთა, ხელისუფლების უზურპაციის გზას კი დაადგა.

– თქვენ ყოველთვის და დღესაც ხალხს რუსეთთან დაილოცის აუცილებლობაზე ესაუბრებით. მიიჩნევთ, რომ ამ გზით აფხაზეთისა და ოსეთის, ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება შესაძლებელია...

– რუსეთი არ არის სამიველ პარტნიორი. ეს აზრი მრავალი წლის მანძი-

ლზე დამკვიდრდა, მაგრამ ჩვენ ეს არ გვატყვის უფლებს პასუხისმგებლობისგან, გვქონდეს მცდელობა, გავერთიანო ჩვენი ქვეყანა. 25 წლის მანძილზე მხოლოდ ვლაპარაკობთ, რომ ეს ვერინდა.

– თუკი დაილოცის ფორმატში სასურველი შედეგი ვერ იქნა მიღწეული, თქვენს პარტიას ამ მიმართებით ხელისუფლებისთვის კიდევ რისი შეთავაზება შეუძლია?

– შედეგი თუ არ იქნა, ჩვენი შედეგები იმას მაინც არ გვეტყვიან, შეგეძლოთ და არაფერი გააკეთეთ, შეგეძლოთ და არაფერი სცადეთ. იმაზე მეტი ზიანი, მერწმუნეთ, ამ დაილოცეს არ მოჰყვება, რაც უკვე სახზე გვაქვს. შეიძლება, ჩვენ სოხუმი და ცხინვალი სამუდამოდ დაკარგოთ, შანსიც აღარ დარჩეს ქვეყანას მათი დაბრუნების და მერე ვიძახოთ, ლეოპუკაცია და უკუპაცია. საჭიროა ქმედებები, გაბედული პოლიტიკის წარმოება, საჭიროა სააკაშვილის სტრატეგიის დანერგვა, რომ დაილოცი ქვეყნის ლალატია. ლალატია ის, რაც სააკაშვილმა გააკეთა: ჩვენი მიწების 22 პროცენტი, ხოლო სტრატეგიული ობიექტების 80 პროცენტი რუსებს მისცა. დღეს ვინც დაილოცე ამბობს, რომ ეს ლალატია, თვითონ ლალატობს ქვეყნის და სახელმწიფოს ინტერესებს.

– გარეგულ პირობებში ხელისუფლებას ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების სტრატეგიული გეგმის არქონას საყვედურობენ. ზოგადად არსებობს პროექტები, რომლებმაც თავიანთი კომპეტენციით ვერადლება დაიმსახურეს, მაგრამ რატომღაც გაგრძელდა აღარ ჰქონიათ. თქვენ რამდენად გაქვთ შეხება ასეთ პროექტებთან?

– მე არ მაქვს ასეთი ღონის და შინაარსის პროგრამებთან შეხება, მაგრამ ვვლა, ვინც ებრძვის მას, არ უნდა, რომ დაგვიბრუნდეს ცხინვალი და აფხაზეთი. ძალიან ბევრი ძალა ქვეყანაშიც და ქვეყნის გარეთაც ასეთ მოცემულობაში რომ უნდა ვიყოთ.



ჩვენ სხვა სტრატეგიას ვთავაზობთ ჩვენს ხალხს. ხალხს პირველ რიგში, რადგან მანდატს ის გვაძლევს, თუ როგორ ვიმოქმედოთ, ველაპარაკოთ აფხაზეთს, ოსებს და ადგვს დაილოცი რუსეთთან.

– ვისარგებლებ შემთხვევით და საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებითაც გკითხავთ. არის თუ არა კონსერვის შესაძლებელი?

– რა თქმა უნდა, არა. ამ ცვლილებების წინააღმდეგი ვართ. მისით ხელისუფლება ახორციელებს სრულ უზურპაციას. ხელში იგდებს დაუშინებლად პარლამენტსაც, მთავრობასაც და საარჩევნო სისტემასაც. ეს არის ისეთი ცვლილება, რომლის განხორციელებაც თავის დროზე ვერც შევარდნამ და ვერც სააკაშვილმა გაბედეს. მესამე მოსმენაა დარჩენილი, რადგან გარდამავალ დებულებაში შეიძლება, რაღაც შესწორდეს. მთავარი მოთხოვნა ძალაში რჩება, რომ პრობორციულ სისტემაზე გადავიდეთ. ეს კი დღევანდელ ხელისუფლებას არ უნდა. შემოღობაზე საპროტესტო აქციების ერთი მოთხოვნა ესეც იქნება.

“ოჯახი ესე მამოყრისათვის თაჯადებულთა”

შოთა შავაშვილი

ზონი-სამტრედიის ეპარქიის მდივანობის სასურთაგან ერთადერთია 35 წლის დეკანოზი ათანასე (რუხაძე), რომელიც მშვიდობიან ოჯახს უძღვება.

2003 წლის 1 ივნისს, ნინოების ბრწყინვალე დღესასწაულზე, შეუღლდნენ მამა ათანასე და ქალბატონი თამარი. განვლილმა თითხმეტმა წელიწადმა საწუხართა დათმენით, დიდი რწმენითა და გულწრფელი სიყვარულით გააძლიერა მათი კერა, ძვირფასი ნაყოფით დახუნძლა ცხოვრების ხე.

ფუძის მაძლიერებელმა მეუღლეებმა 2017 წლის 17 მაისს მიიღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია მეორის, დალოცვის სიგელი, რომელზეც ვკითხვობთ:

“სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!

უფალო და მეუფეო ზეცათაო, ნუგეშისმცემელო სული ჭკუშარბებისაო, შენ დაიფარე, დაიცვე და განამტკიცე ოჯახი ესე მამულისათვის თაჯადებულთა – მონისა დეათისა დეკანოზ ათანასე რუხაძისა და მხეველისა დეათისა თამარ რუხაძისა.

მიანიჭე მათ მტკიცე სარწმუნოება, მადლი და წყალობა შენი, ჯანმრთელობა და დღეგრძელობა, მშვიდობა და სიხარული, ერთმანეთის სიყვარული და ყოველ კეთილ საქმესა შინა წარმატება.

დამერთო ძლიერო, შენ დალოცე შეილნი მათნი: დავითი, საბა, ნიკოლოზი, გიორგი, ელისაბედი, სოფიო, ლუკა და ალაგე იგინი ყოველითა კეთილითა მსახურებად შენდა და სადიდებლად ერისა ჩვენისა. ამინ!”

ვაჟთა და გოგონათა ამ სახელებს 12 ივლისს, მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს ხსენების დღეს, შეემატა პავლე.


“ეს უფლისაგან ბოძებული საწუხარია, მით უმეტეს, ახალგაზრდა ასაკში. ქადაგებისა ვუპოვებ ჩემს მრევლს: სიძლიერე ქვეყნისა ჩვენზე, სამკვიდრო მიწა-წყის შემურეებზეა, დამოცილებული.

თითოეული ქართველი ქმნის ნათელ ხეალებს... და რა იქნება იმაზე კეთილი ბალავარი მომავალი აღმშენებლობისთვის, ვიდრე ერის გამრავლება. მართალია, მძიმე

ჯვარია, რთულ სოციალურ პირობა-ვითარებაში ღირსეულად აღზარდო შეილი, მაგრამ მთავარი ცდაა, შეიძლება ითქვას, თავანწირვა და, პირველ ყოვლისა, ნება.

მაცხოვარი ამბობს, რომ არასოდეს მოგვივინებს დაუძლეველ განსაცდელს. მრავლად მოგვახლება სიძნელე, მიუხედავად ამისა კი სიმხე არ დაგვიარგავს. უფალი ყოველთვის გამოჩნდება მწვედ, უდრეკ საერენად მხარში კეთილისმსურველებს, მეგობრებს ამოგვიყენებს. სხვა რაა, თუ არა წყალობა, თანადგომა მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის, მიტროპოლიტ მეუფე საბასი, ზონი-სამტრედიის ეპარქიის მღვდელმსახურებისა, რომელთა მიმართ უბოლოდ მადლიერებით, განუზომელი პატივისცემით ვიწუბი განმსჭვალული.” – ამბობს დეკანოზი.

ახალი სიცოცხლის დაბადებას ულოცავს “სამტრედიის მაცნე” მრავალშვილიან ოჯახს და დეათისმშობლის კალთის მარადიულ მფარველობას უსურვებს მას.



ავთანდილ სეხუას მოყვანილობის შესახებ ჟურნალისტიკის შედეგად

ბატონო ემზარ, მინდა გამოვეხმაურო თქვენს ინტერვიუს, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" 2017 წლის 31 მარტის ნომერში, სადაც თქვენ, იმის გამო, რომ მე წამოვედი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან", მიწოდებთ მოთამაშე ვიდეორგოლს, შეიძლება შეემალოს, ან ჟურნალისტიკის იმპროვიზაცია იყოს ეს თქვენი გამონათქვამი და თვითონ გაარკვევით ამ საკითხს, მაგრამ, როგორც ვატყობ, ეს არ იყო შეცდომა და ცუდია, რომ ძალიან მოკლე მესაუბრება გქონათ. ცდილობთ, ფაქტები შეაღამოთ. ამიტომ მინდა შეგახსენოთ, თუ რა მოხდა და რატომ მივიღე გადაწყვეტილება. შევეცადები მოკლედ და ლაკონურად აღვწერო ფაქტები ყოველგვარი შეფასებების გარეშე:

"2017 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ "ნაციონალური მოძრაობის" ხელმძღვანელების მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, სამტრედიის მუნიციპალიტეტში შეცვლილიყო გამგებელი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ არჩეული ვიქტორი სამტრედიის გამგებლად. 2017 წლის ნოემბერში სამტრედიის სასამართლომ შემიჩერა უფლებამოსილება. კანონიდან გამომდინარე საჭირო იყო, სამტრედიის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამგებლის რომელიმე მოადგილეს დაეინიშნებინა გამგებლის მოვალეობის შესრულება, ამიტომ ჩვენ: მე - ავთანდილ სეხუას, სამტრედიის საკრებულოს თავმჯდომარემ - ალექსანდრე ჯვარციანიშვილმა და თქვენ - "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ - ემზარ შუბლაძემ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ დროებით გამგებლის მოვალეობის შესრულება დაეკისრებოდა გამგებლის ერთ-ერთ მოადგილეს - ავთანდილ თაყაიშვილს, გაგვერეძლებინა ბრძოლა სასამართლოში, რათა დრო მოგვეცა და გარკვეული პერიოდის შემდეგ დაგვრეზებულყოფიყო სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის კანდიდატი პოზიციაზე. ჩვენ, სამივე შევხვედით ავთანდილ თაყაიშვილს და ვუთხარით, რომ დროებით, შესაბამის სიტუაციაში, დაეკისრებოდა გამგებლის მოვალეობის შესრულება. გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც ამ საქმემ გაიარა სასამართლოს ფეხები ინსტანცია, მივიღე გადაწყვეტილება, რომ დავბრუნებულყოფიყავი გამგებლის პოზიციაზე და მეტწილად 2014 წლის ადგილობრივი არჩევნებში გამარჯვებისთვის. როდესაც ჩემი გადაწყვეტილება გაეხმაინა, მეორე დღესვე დამიკავშირდა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი და იმერეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი და მიხეობა შეხვედრა. სამტრედიის ოფისში ჩემს შორის გაიმართა ასეთი შინაარსის საუბარი: "ავთო, როგორც მე მიხერეს, გადავიწყვეტია სამტრედიის გამგებლად დაბრუნება, ჩვენ სათანადო ყურადღება ვერ მოგაქცეით, ამიტომ ახლა დავტრიალებით და შესაბამისი ანაზღაურებით სამსახურში დავასაქმებთ, ოღონდ, უარი თქვი გამგებლად დაბრუნებაზე. როგორც იქნა ბიჭებმა დააღაპრა ეს სიტუაცია კალაქსთან და "ოცნებასთან" და ხომ იცი, შენ როგორ არ მოსწონხარ "ოცნებას" და კალაქს. ეს გამოიწვევს მათ გაღიზიანებას. ჩემი პასუხი იყო კონკრეტული: მიუხედავად იმისა, რომ მატერიალურად ძალიან მიჭირს, ჩემთვის ამ სიტუაციაში მთავარია ბრძოლა სამტრედიისთვის და ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვებისთვის, ან თუ მე ვარ ოპოზიციური პარტიის წევრი, რატომ უნდა მქონდეს ე. წ. "დალაგებული" ურთიერთობა მმართველ პარტიასთან და რატომ უნდა ვიყო ორიენტირებული მათი კეთილგანწყობის მოპოვებაზე! ჩვენ ძალიან მძიმედ დავშორდით ერთმანეთს. ამის შემდეგ იყო ჩვენს შორის აზრთა სხვადასხვაობა. მე ისიც კარგად მახსოვს, როდესაც ამ საკითხზე შეგვკრიბებ

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" საკრებულოს წევრები და მოვიითხოვე. კანონიდან გამომდინარე, გამგებლის ვაკანსიაზე ყველა წევრი თანახმა იყო, თქვენ წადით წინააღმდეგი და თქვენი სიტყვებიც ძალიან კარგად მახსოვს: "დალაგებულ სიტუაციას ვერ ავრევ" -ო. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ვრჩები "ნაციონალურ მოძრაობაში" და ვცდილობდი მეტწილად ამ პარტიის სიძლიერისთვის. როდესაც მოახლოვდა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და თქვენ უარი განაცხადეთ გამგებლის კანდიდატად კენჭისყრაზე, ჩემი იდეა იყო, გამგებლის კანდიდატად დაგვესახელებინა გივი ლანძიძე და მისი ხელმძღვანელობით გვებოძოლა გამარჯვებისთვის. დავიწყე ინტენსიური მუშაობა, ვხვდებოდი სხვადასხვა ადამიანს და ვარწმუნებდი, რომ ლანძიძე იყო ამ ბრძოლაში იდეალური კანდიდატი. ამ პერიოდში ერთ-ერთ ჩემს მეგობარს და კარგ სამტრედიელს, ზვიად ნიურაძეს, რომელსაც თავის დროზე ძალიან ცუდად მოექცა ხელისუფლება იმ მოტივით, რომ მან ხმა აღიმაღლა სამტრედიის საფეხურით კლუბის, იმერეთის გუბერნატორისა და სამტრედიის გამგებლის მხრიდან უმაღლესი ლიდერის გაგვების წინააღმდეგ, გაანთავისუფლეს გამგებლის მოადგილის თანამდებობიდან, გაუნდა სურვილი, ებრძოლა სამტრედიის გამგებლობისთვის. მისთვის ჩემი პოზიცია იყო ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ იყო ძალიან კარგი კანდიდატურა და მიველოდებოდი მის ბრძოლას სურვილს, მე, როგორც "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი, მხარს ვუჭერდი გივი ლანძიძის კანდიდატურას და ჩვეულებრივად ვაგრძელებდი საარჩევნო კამპანიას მის სასარგებლოდ. ერთ მშვენიერ დღეს "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ცენტრალური ოფისიდან დამიკავშირდნენ და

მთხოვეს შეხვედრა. დათქმულ დროს ჩავიდა ოფისში და იქ დამხვდით თქვენ, გივი ლანძიძე და კიდევ ერთი პიროვნება. გაიმართა იმერეთის რეგიონის წინასაარჩევნო შეხვედრა. შეხვედრის შემდეგ გვთხოვეს დარჩენა სამტრედიის შემადგენლობას. ახლაც მახსოვს მათი სიტყვები: - ავთო, ამ ხალხს მიაჩნია, რომ ვინაიდან სამტრედიამ კენჭს იყრის ზვიად ნიურაძე, რომელიც არის შენი მეგობარი და შეიძლება, შენ მას დაუჭირო მხარს, შენ ის უნდა გახადო იმულებული, რომ არ იყაროს კენჭი. ალბათ, თქვენც გახსოვს ჩემი პასუხი: "მე არასდროს არავისთვის მილაღობია და სადაც ვარ, ბოლომდე ვარ და ვინარჯები. ვინაიდან ვარ "ნაციონალურ მოძრაობაში" და ჩემი კანდიდატურაა ლანძიძე, ვიბრძვი ლანძიძისთვის. ის, რომ ზვიად ნიურაძე ჩემი მეგობარია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე მაქვს უფლება, მას აუკრძალო ბრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ".

ემზარ, ალბათ, ისიც დაგაფიქვდა, რომ მე და შენ ამ შეხვედრის შემდეგ ერთად წამოვედით თქვენი ავტომობილი სამტრედიამდე. მინდა შეგახსენო ჩემი სიტყვები: "რად გინდოდათ ამ საქციელის ჩადენა, თუ რაიმე გასარკვევი გქონდათ, ერთ ოფისში ვართ, გავერვიანთ ეს საკითხი" და ვინაიდან ადგილები ვიყავი, იმ ეპითეტით მოვიხსენიე ეს საქციელი, რომელსაც ჯერჯერობა უწოდებენ... თქვენ ხელი გაიშვირეთ სხვისკენ - მე რა შუაში ვარ, მან ჩაიდინაო. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი რამ შეგემალოს ჩემს მიმართ, ეს უკვე სცილდებოდა პოლიტიკურ პრინციპებს და გადასული იყო პიროვნულ შეურაცხყოფაზე. ქმედებაში, უკვე ჩემთვის იყო ღირსების საკითხი, რომ ის პარტია, რომელიც 2002 წლიდან ჩემი ხელთ ჩამოგვაყალიბე სამტრედიამდე და მასთან ერთად გამოვიარე საკმაოდ საინტერესო პერიოდი ბევრი წარმატებით თუ

წარმატებით, უნდა დამეტოვებინა. უკვე დადგა პრინციპულად საკითხი: უნდა ვყოფილიყავი თუ არა იმ პარტიის წევრი, რომლის ერთმა მცირე ნაწილმა გამცვალა "ოცნებასთან" ურთიერთობის დალაგებაში და ბოლოს პიროვნულ პრინციპულობაშიც კი შეიტანა ეჭვი. იმ დღეს მივიღე გადაწყვეტილება, რომ არ ვქცეულიყავი ვინმეს სათანადო ინსტრუმენტად, წამოვედი იმ ადგილიდან და ბრძოლა გამეგრძელებინა მარტოს. მეორე დღით დავუბრუნე პარტიის ხელმძღვანელს - მიხეილ მაჭავარიანს და გავაცანი ჩემი გადაწყვეტილება, რომ თქვენთან ერთად ვერ ვიქნებოდი ამ პარტიაში და გავდიოდი პარტიის რიგებიდან. თვითმმართველობის არჩევნებში კანდიდატების რეგისტრაციამდე დარჩენილი იყო დღეები და დავუკავშირდი ზვიად ნიურაძეს, შევთავაზე თანადგომა და ერთად მივიღეთ მონაწილეობა არჩევნებში. მე შემძლო შეფასებებიც მეკეთებინა ამ წერილში, მაგრამ მხოლოდ ფაქტებით შემოვიფარგლე. მხოლოდ ერთს გკითხავთ: ამ ფაქტების შემდეგ კიდევ მე ვარ მოთამაშე, თუ გალმა შედავების პოლიტიკაა? რაც შეეხება ჩემს დაბრუნებას აქტიურ პოლიტიკაში და "ევროპული საქართველოს" სამტრედიის ორგანიზაციის თავმჯდომარეობას, როგორც ჩანს, ძალიან აგაღელვათ და მინდა დაგამშვიდოთ. ნუ ნერვიულობთ, თქვენ ჩემთვის კონკურენტი არა ხართ, იმიტომ, რომ მე არ ვბრძვი არც მეორე ადგილისთვის და არც მთავარი ოპოზიციური პარტიის სტატუსისთვის. ჩვენ ვიბრძვით გამარჯვებისთვის და აუცილებლად გავიმარჯვებთ, ამიტომ ჩვენი კონკურენტია "ქართული ოცნება", რომელიც უნდა ჩამოვაშროთ ხელისუფლებას.

ავთანდილ სეხუას

19 აპრილს დაიწყო მუშაობა, ბიძოცავე!

ფერისცვალება იქნა ქრისტეს სასწაულებრივი გარდასახვის აღსანიშნავი დღესასწაულია. თავის მოწაფეებს იესო ქრისტე ძალიან ხშირად ეუბნებოდა, რომ ადამიანთა გადარჩენისათვის იგი უნდა ეწამოს, უნდა მოკვდეს და მესამე დღეს აღდგეს, მაგრამ წამებასა და სიკვდილს რომ მისდამი, როგორც ღვთის შვილისადმი, რწმენა არ შეერყია მის მოწაფეებში, იგი მათ წინაშე გარდასახა, ფერი იცვალა. ფერისცვალებას ხდება ყურძნის, ხორბლისა და ხილის კურთხევა, ამ დღეს ეკლესიებში ლოცულობენ. "მთასა ზედა ფერი იცვალე ქრისტე ღმერთო და რაოდენ ძალედა მოწაფეთა შენთა, დიდება შენი უჩვენე, რათა რაგამს იხილოს ჯვარცმა შენი, გულის-ხმა ჰყონ, ვითარმედ ენება იგი ნებსით არს და, სოფელსა უქადაგონ, ვითარმედ შენ ხარ ჭეშმარიტად ბრწყინვალე მამისა." შესაბამისი ღვთისმსახურება აღესრულება ფერისცვალებას ყველა მოქმედ ტაძარში.

ლევან ბაბუნაძე



"ნაციონალური" კანდიდატი ცნობილია

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის მზადება სამტრედიის რაიონულმა ორგანიზაციამ უკვე დაიწყო. 6 აგვისტო სამტრედიელი "ნაციონალები" თავიანთ ოფისში შეიკრიბნენ. მომავალი არჩევნების ჩატარების ორგანიზებაზე ისაუბრეს, დასახეს საარჩევნო კამპანიის გეგმები, შეარჩიეს მაჟორიტარული ოლქებში საკარაულო კანდიდატები. რაც შეეხება რაიონის თავკაცს, "ნაციონალებმა" საერთო გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტის გამგებლის კანდიდატად მაშუკა ბიბილეიშვილი დაასახლეს. მაშუკა ბიბილეიშვილი ამჟამად მოქმედი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია. პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე.

6060 ნაწილაკი



არ იცის ცურვა, პირ დაკლავს ცხოველს...



ჯერ მამა გავიცანით, მერე შვილი. ნიჭიერმა, პერსპექტიულმა ახალგაზრდა კაცმა ბათუმი, შვიური აჭარა დატოვა და სოფლისა და ხანძარშენი მშობლების სიყვარულმა სამტრედიამდე, დიდ ჯიხაშიში ჩამოიყვანა. 27 წლისაა გოგა ლომინაძე. ვანის რაიონის შუა გორის საჯარო სკოლის შემდეგ, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა და მუშაობდა ბათუმში სამშენებლო კომპანია "ანაჟში" დაიწყო უსაფრთხოების ინჟინრად. მუშაობდა სასტუმრო "ჰილტონის" მშენებლობაზე. შეეპატიჟა კითხვა, მიხეილ ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე, რეზაკო, შანდორ პეტევი მისი საყვარელი მწერლებია, უყვარს ფოლკლორი და ძველი ქალაქური პანაგები, საქმიანი ურთიერთობები აკავშირებს ცნობილ ლიტერატურულ მკვლევართან. როგორც ვთქვით, გოგა ბოლო ხანებში სამტრედიამდე, დიდ ჯიხაშიში ცხოვრობს მშობლებთან. მუყაითი მურწეა და სამურწეო საქმიანობას ჩინებულად უხამებს ინტელიგენტობას. მას შემდეგ, რაც ნაყოფიერი სახელობის დიდი ჯიხაშიის პროფესიული კოლეჯი დაამთავრა და მიენიჭა ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის კვალიფიკაცია, სურსათის ეროვნული სააგენტოს სისტემაშია დასაქმებული ვეტერინარ-ტექნიკოსად. იგი ცხოველითა და ხელმწიფო ვეტერინარული პროგრამაშია ჩართული. ამჯერად ეპიზოოტოლოგიის საწინააღმდეგო გეგმის მიხედვით მუშაობენ, რათა არ გავრცელდეს სხვადასხვა დაავადებები. ჩემი რესპონდენტ დიდი ჯიხაშიის მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრის, მამა მატათას მრევლია. ვაზტანგ დასამიძე აჭარის სახანძრო-სამშენებლო სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილე, ასაკით ჩემზე უფროსია, მაგრამ მე მოენათლე, იგი მუსლიმანი იყო და მშობლიურ რელიგიას დაუბრუნდა, შეამყვება ყოველივე, გოგამ. საინტერესო, ენაწვლიანი მოსაუბრეა გოგა ლომინაძე, 10 წუთს ვისაუბრეთ მხოლოდ, თუმცა შევიტყვეთ, რომ სწუხს ახალგაზრდა კაცი სალიტერატურო ენაში უცხო სიტყვების დამკვიდრების გამო, გავიგეთ რომ რამდენიმე ხელობა იცის, რომ ვერ დაკლავს ცხოველს, არ იცის ცურვა, დღე-ღამეში 18 საათი ფეხზე რომ დგას მოძალბებული საქმის გამო... კმაყოფილი დავრჩით მასთან საუბრით. წარმატებებს უუსურვებთ გოგას სამომავლოდ, ვიმედოვნებთ, იგი ღირსეულ სიტყვას იტყვის დამოუკიდებელი საქართველოს ძლიერებისა და აყვავების საქმეში.

ლევან ბაბუნაძე

“ბრიშა კაპარია” ნიბნსა და ნიბნიერებაზე

ნათია ნაცვლიძე

რუსთაველის თეატრის სცენაზე 50 წლის განმავლობაში შესრულებული უამრავი და კიდევ კინო-როლიებს, ახლა გრიშა კაპარიას პერსონაჟი დაემატა, სრულიად საქართველო რომ ააღიარა. ტელევიზიის “ჩემი ცოლის დაქალების” ამ უსაყვარლესი გმირის ფრაზეებითა და ინტონაციებით ყველა თაობის ადამიანი საუბრობს. თეატრის სცენაზე გამოიჩინება ბატონი დათო კვიციანი და... “გრიშა კაპარია” გაიძახიან იქაც. უპოპულარულესი მსახიობი სამტრედიას სტუმრობს, მარჯვნიდან და მარცხნიდან ყურსართების შემოტევაა, ნაწილი სატელევიზიო კომენტარებით კმაყოფილდება, ნაწილი – უახლოეს დღეებში მსახიობთან შეხვედრის პერსპექტივას სჯერდება. ჩვენი საუბარი წინებს შეხვედრა, მსახიობის უსაყვარლეს თემას. მამ ასე უფრო ახლოს ვაიქვანით სამტრედიელი წარმომომის კაცი, რომელსაც მარტო კინო და თეატრი კი არა, ლიტერატურაც ძალიან უყვარს...

– ჩვენი თაობისაგან განსხვავებით, თქვენ თაობა ბევრად წინააღმდეგობრივ იყო. თქვენც ბუნებრივია, გეგვარებთათ წინააღმდეგობა...

– რა თქმა უნდა, ჩვენს თაობას შეუძლია, იტრაბახოს, რომ წინააღმდეგობა ვიყავით, მაგრამ მაშინ არ იყო ეს სასწაული, რასაც სმარტონი და ლეპტობი ჰქვია... ჩაიხედავ და ყველაფერს ამოვიკითხე. ჩემს ბავშვობას მინდა დაგვხსნა, სარაიონო ბიბლიოთეკის გამგე გახლდათ დედაჩემი, ლენა სიმონის ასული თოფურია. წინა ჩემთვის უცხო ხილი არ იყო, მამაჩემი აბესალომი უგანათლებულესი კაცი იყო, სულ წინა ეკირა ხელში. ჩვენ თბილისში ვცხოვრობდით, მამა იქიდან ჩამიქვინიკურ ქარხანაში გადმოიყვანეს ინჟინრად, მაგრამ ვერ იმუშავა, ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნა და სკოლაში ჩააბარეს მანქანათმშენებლობა. ძალიან მიხარია, მას მისი აღზრდილები, უკვე ჭარმაგები, თბილად რომ იხსენებენ. როგორც ვთქვი, მანქანათმშენებლობა და ტექნიკურ დარგებს ასწავლიდა. ჩემი ბავშვობის სამტრედიას განსაკუთრებულად ვიხსენებ, ისეთი პიროვნებები მხედებოდნენ, რომელთა არგახსენება შეუძლებელია. უდიდეს მადლობას ვუხდით მასწავლებლებს, რომელთაც ჩემი შვილები აღზარდეს, მაგრამ მათ ისეთი პედაგოგები არ ჰყოლიათ თბილისში, როგორებიც მე – სამტრედიას, ჩემმა ფიზიკის მასწავლებელმა, ლილი ჭავჭავაძემ ფიზიკასთან ერთად გვაზიარა ვაკაცობას, რაინდობას, წინააღმდეგობას, იმას, რომ დიდი პასუხისმგებლობით ვარ განსწავლული ჩემი თავის მიმართ. დედა ბიბლიოთეკის მერე “სახელგამის” გამგე იყო. ყველა ახალი წიგნი ჩვენს ოჯახში ისეთი აუცილებელი ატრიბუტი იყო, როგორც სხვა რამ. მახსოვს,

მამას ნათესავმა, საშა კობერიძემ გამიარა და უზარმაზარი წიგნი, კონსტანტინე გამსახურდიას “დავით აღმაშენებელი” მოიტანა, დამიბარა, ერთ კვირაში გამოვივლი და აქამდე წაკითხული დამახვედრეო. იმდენად გავლენიანი კაცი იყო, ვერ გავუბედე შეწინააღმდეგება, მივიტრია, ვერ ვგებულობდი, მაგრამ მაინც ვკითხულობდი. ამას არ იხამს ჩემი შვილიშვილი, ჩემმა 11 წლის შვილიშვილმა ბერი რამ ჩემზე უკეთ იცის, თუნდაც, ინგლისური ენა, კომპიუტერულ ტექნიკაში როგორც თევა ვწავლობ, ისე დანავარდობს...

– ინტენსიური კითხვის პერიოდი როდის დაიწყო?

– სცენაზე ლაღო ასათიანის ულამაზესი ლექსის წაკითხვამ განაპირობა ჩემი არჩევანი, მსახიობი გავმხდარიყავი. ჩვენი სკოლის პიონერულმძღვანელმა, შესანიშნავმა დადუნა ჩიგოგიძემ მიიძულა, ლაღო ასათიანი მესწავლა. მე ბურთის თამაში მერჩინა, მაგრამ... მერე მოეწონათ ჩემი შემოქმედება, გაეხდინა ლაურეატი. სამტრედიას არ იყო სახელმწიფო თეატრი, მაგრამ იყო კულტურის სახლი, მასწავლებელთა სახლი, კულტურისა და დასვენების პარკი, სადაც საზაფხულო სცენაზე პიესები იდგმებოდა, მუსიკალურ სკოლას ჰყავდა დირექტორი ბატონი ოთარ შანიძე, კულტურის სახლის მთავარი რეჟისორი და მსახიობი, ტარიელ ხაჭალია იყო, გვეავდა ულამაზესი რაფინირებული კაცი, მსახიობი, იურა გვაზავა. ამ სპექტაკლებს მოყვარულები თამაშობდნენ, მაგრამ სცენაზე დგომა ხომ ყველას არ შეუძლია, თუ არ ხარ შეწირული ამ საქმისათვის. ბავშვობიდან ისეთი სახეები მახსოვს, მათზე ფილმის გადაღებაც შემიძლია. სამტრედიას ვიზრდებოდი და ამ წლებზე ფიქრისას ყოველთვის მახსენდება ფედერეო ფელინის ფილმი, “ციური”. ის იწყება ჩაქუნის დარტყმით, ცირკის მსახიობები კედლებს ამენებენ, ეს კაცი, ფილმის გმირი ხედავს ამ უცნაურ გრიმიან ხალხს, აკრობატებს, ეკვილიბრისტებს, სპილოებს... აი, ამდაგვარი რაღაც შემართება, განსაკუთრებულად მიყვარს ეს ფილმი, მოქმედებაც იტალიურ პროვინციულ ქალაქში ვითარდება.

– რა თქმა უნდა, ფელინი გენიალურია, ეს ხელოვნება ყველასია...

– რუსთაველის თეატრის სცენაზე მრავალი წელია დგახართ, იდეალურ რეჟისორებთან გქონიათ ურთიერთობა, არაერთი საინტერესო ლიტერატურული ტექსტი დაგიმასოვრებიათ...

– ხანდახან მიწვევენ მიხეილ თუმანიშვილის თეატრშიც, ბატონმა მიმამ დატოვა სპექტაკლი “ჩემი ბატარა ქალაქი”, თეატრი ცდილობს, სულ გააცოცხლოს ეს სპექტაკლი. ამ სპექტაკლში წელიწადში ორ-სამჯერ ვთამაშობ.

– არჩევანის უფლება მსახიობს არ აქვს, ახალგაზრდობაში განებივრებული

ვიყავი, კარგი გაგებით, ძალიან ახალგაზრდა შეგვე შექსპირს, ვცდილობდი, “რომეო და ჯულიეტა” გამეხდა ჩემი ული, მერე მიხეილ თუმანიშვილმა დადგა “იულიუს კეისარი” ბრუტოსის მცველი, ლუციუსი ვიყავი. ეს ტექსტები ყოველთვის ცოცხლდება გონებაში. ისინი აზრის გამოხატვაში ან არჩევანის



გაეუბნებოდა გემარება ადამიანს, რაღაც ციტატა გახსენდება... რუსთაველის თეატრს თანამედროვე თეატრალური ხელოვნების კორიფე, რობერტ სტურუა ხელმძღვანელობს.

– ამ გენიალურ როლებზე უფრო დიდი პოპულარობა “საპნის ოპერაში” ნათამაშევა როლმა მოგიტანათ.

– ეს ბუნებრივია, სერიალი ხომ სახლში მორთმული ნუგბარია, პარაკევიტით ელოდები, ახლა გაგვახარებენ ჩვენი დათო, ნინო, ცოტნე... თეატრი სხვა სივრცეა, სერიალის სპეციფიკა ესაა, ერთ დღეში გაგიცნობს უამრავი მაყურებელი, არ ვიცი, სიტყვა “საპნის ოპერა” რომელი სერიალიდან ეწოდა, ამერიკული ფესვები რომ აქვს, ვიცი, მაგრამ რასაც ქეთი დევიდარიანი აკეთებს, ეს ძალიან ნიჭიერი, გაბედული, ხმამაღალი განაცხადია ლიტერატურული თუ კინოსცენარისტული... ბარაქლა ამ უნიჭიერეს ქალბატონს...

– ბოლო პერიოდის ყველა ნიჭიერ და წარმატებულ ქართველს “იქნებოდეს იქნება”... აყვარა პირზე, ხომ გსიამოვნებთ ეს კომპლიმენტები?

– უკვე საკმაო ასაკს მივალწვი, ჩემი ხნის ადამიანები უკვე ამთავრებენ კარიერას, ამ ასაკში ღმერთი ასეთ საჩუქარს რომ გამოგიზავნის, ამზე კარგი რა უნდა იყოს!

– რომელ კლასიკოს მწერალს შეხვედრისხართ?

– მეორე კურსზე ვარ, გიზო ჟორდანიას მივითხავს ლექციებს, ჩემს ახალგაზრდობაში 60-70-იან წლებში ყველა მსახიობის ოცნება იყო, ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებისთვის შეესხა ფრთა, იმდენად გულში ჩამწვდომი იყო ყველასთვის. მოკლედ, ჰქუხს დუმბაძე, ახალი გამოსულია “მე ვხედავ მზეს”, სადაც გაიღვა ლეილა ყიფიანი. სამტრედიიდან ჩასულ ბიჭს ჩემი პედაგოგი, ბატონი გიზო მეუბნება: რუსთაველზე, “ნიანგის” რედაქციაში მიხვალ და ნოდარს ამ საქალაღეს გადასცემო, მივედი და მაგიდასთან მჯდომმა მწერალმა მანიშნა, შემოდიო, მეთხა, როგორა ხარო, ძველი ნაცნობივით მომიეთხა, ნე-

რეულობისგან ყელი გამიშრა, ვერაფერი ვუთხარი, ამ გენიოსთან შეხვედრა მთელი ცხოვრება დამამახსოვრდა. მან საოცარი მეგვიდროება დატოვა...

– საყვარელი მწერლები სხვა რომელია?

– ბავშვობიდან დიუმა იყო ჩემთვის ყველაფერი, ჩემი ძმა და მე ვკითხულობდით, წარმოუდგენელია, ამდენი ფანტაზია დააგროვო კაცმა, ამდენი რაინდული მუხტი ჩაღო ნაწარმოებში, ჩემს ბავშვობაში მახსოვს ნაწარმოები “ჩხუბისთავი კაპიტანი”, მასში აღწერილია ბურების ისტორია, ჩვენი დიდებული მამულიშვილი ნიკო ბაგრატიონი იბრძოდა მათთან. მამაჩემმა მითხრა, ნიკო ბაგრატიონი ტყვედ რომ ჩავარდა და დასახვრეტად გაიყვანეს, ბაგრატიონთა საგვარეულო მე-

დალიონი უნახეს და არ დახვრიტესო. ძალიან კარგი თანამედროვე მწერლები გვაყავს, ზოგი ახარისხებს, ვინაა მისაღები მწერალი, იმ დროს რატომ წერდა, ახლა რატომ წერსო... ხანდახან ისეთს იტყვიან მწერლებზე, ნერვები მეშლება, რუსთაველის თეატრში ლამაზულადის “სულიერი არსებები” დავით საყვარელიძემ დადგა. ამ სპექტაკლში ვთამაშობ, ვფიქრობ, ახალგაზრდობში იმეათია ლამაზნარი მოაზროვნე კაცი. გენიალურია აკა მორჩილაძე, არ მერიდება იმის თქმა, ბევრმა ახალგაზრდამ ჩემზე მეტი იცის. ბატონმა მიშა თუმანიშვილმა ტელეთეატრი რომ შექმნა, გადავიღეთ “გზაჯვარედინზე”. სამი თვე ვიმუშავეთ, დღეს ტექნოლოგიურმა პროგრესმა ჩვენი აზროვნებაც ააჩქარა, მაგრამ რეზულტატი არანაკლებია. ბევრ რამეში გვგვარავს მცდარი შეხედულება, რომ ჩვენი მამები და ბაბუები გვჯობნიდნენ. გარდაცვლილ წინაპრებზე სადღეგრძელოებს არ უნდა გადავყვეთ... ყველამ ჩვენი სიტყვა უნდა ვთქვათ. არასოდეს მურმან ჯინორია არ წაიკითხავს იმ ლექსებს, რომლებსაც ბატონი გურამ საღარაძე კითხულობდა.

– “მოვივლით წარსულ დროებზე დარდი, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მფობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს”... პოეზია გიყვართ?

– პოეტების ქვეყანაა საქართველო, ჩემთვის გალაკტიონზე დიდი არც უცხოეთშია ვინმე, არც საქართველოში. თითქოს მე მისი ნათესავი ვიყო, მისი ხატება თან დამყვება, აკაკი ჩემთვის არ-

ის ყველაზე ტკბილი და სანატრელი ბაბუა, მის ტრავიკულ ცხოვრებას რომ ვეცნობი, გული მტკივა. ვაჟა კლდის ნატეხია, მის ნათქვამს გადამოწმება არ სჭირდება, მსოფლიო ვალშია მასთან, რომ ვერ გაუგეს. მიყვარს ლაღო ასათიანი, ანა კალანდაძე...

– თქვენს შვილებს უყვართ წიგნები?

– უწიგნურები ნამდვილად არ არიან, საკმაოდ დიდი განათლება მიიღეს, ვერ გეტყვით, რა ინტენსივობით კითხულობენ, თუმცა ახლა წიგნის გარდა ათასი სხვა არხით შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია და ცოდნა...

– გამორჩეულად წინააღმდეგობას დაგვისახელებთ?

– საოცრად ერუდირებული კაცი იყო კოტე მახარაძე, რუსებზე უკეთ რუსულად მოლაპარაკე. გორის რაიონში, უფლისციხეში ვიღებდით “ყვარყვარე თუთაბერს”. ბატონი ეროსი და დოდო აბაშიძე თბილისში მიდიოდნენ, მეც წამიყვანეს, ბატონი დოდო საჭესთან იჯდა, გზად წავიხეხეთ, მას არ დაუღევია. ბატონმა ეროსიმ დაიწყო: “ვარ განხერილი კლდეზე კალმახი და ახეული მაქვს ლაყუჩები, შემართულია ფეხზე ჩანხახი და უსიკვდილოდ ვერ გადავურჩები” და გაიწმინდა... გახედა დოდომ, დაიწყო და დაიწყო!... უცნაური რა არის იცით? გადასარევე ლექსებს ამბობს და ვერ ვხვდები, ვისია. რა ხდება-მეთქი, ვკითხე და ბოდღერისააო, მიპასუხა. ეს იყო ჩემთვის აღმოჩენა! მერე ქალბატონმა სესილია თაყაიშვილმა მითხრა, ეკეთი განათლებული კაცი, როგორიც დოდოა, არ არსებობს, მაგრამ თავს სხვანაირად გვასაღებსო...

დასასრულ, ერთი რამ მინდა გითხრა, სამტრედიას სცენაზე რომ გამოვედი, კომედიის რაიონის მდივანი გახლდათ ბორის ფოცხვერაშვილი. მას უნდოდა, სამტრედია გაბრწყინებულიყო, კულტურას დიდ პატივს სცემდა. წლების მერე დავახლოვდით და მე მისი შვილის ნათლია ვარ. ამას წინათ მისი ლექსები წავიკითხე, გამოსცა წიგნი სამტრედიელებზე. ენციკლოპედიის ერთ-ერთი ავტორიცაა, წავიკითხე მერე ავსიტყვაობაზე მისი წერილი თქვენს გაზეთში. ასევე ვემგობრობ ბატონ ბეჟანთან, თქვენი გაზეთის დირექტორთან. დიდ წარმატებებს ვუსურვებ თქვენს გაზეთს.

**მხარს გვიჭირებთ
აქტიური გიტიხველები**

ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების ადმინისტრაცია და თანამშრომლები ყოველთვის ვგრძნობთ აქტიური მეთხველებსაგან გვერდით დგომასა და მხარდაჭერას.

შემოქმედი მეთხველები: თემურ ჯულიაიძე, მერაბ ჩანავა, ისიდორე ჯანელიძე, ბექა ფოცხვერა და სხვები ყოველთვის ჩუქნიან ბიბლიოთეკას მათი ავტობობით გამოცემულ წიგნებს.

ბორის ფოცხვერაშვილმა თავისი ავტობობით გამოცემული წიგნი “თეატრალური სამტრედა” ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელს პერსონალურად გვისახსოვრა. ახლახან კი, თავისი ოჯახის ბიბლიოთეკიდან საჩუქრად გადმოგვცა 80 ეგზემპლარი სხვადასხვა სახეობის წიგნი. მადლობა ყველას გულისხმიერებისათვის!

*ნანა ნაცვლიძე
ბიბლიოთეკაში*

„სვანეთობაზე“ „სთინათის“ მონობის რაიონსახორს

სვანეთიდან სასიხარულო შეტყობი-
ნება მივიღეთ: მესტიის მუნიციპალიტე-
ტის გამგეობის კულტურის სამსახურის
უფროსმა ქალბატონმა ნარგეზ ნიურაი-
ანმა სვანეთის დღესასწაულზე – „სვანე-
თობაზე“ მიგვიწვია.

28 ივლისს ქალთა ფოლკლორული
ანსამბლი „ათინათი“ მარინა ვარდანიძე-
ის, ლია არუსიას, დალი დავითიას, ელ-
ენე ლიპარტიანიას, ჟუჟუნა ნიურაი-
ის, ციალა სტურუას, მაყვალა ტყეცვი-
რიას, ნანა ჭყიშვილისა და ნათელა ჯი-
მშელეიშვილის შემადგენლობით სვანე-
თისაკენ გაემგზავრეთ. ნათქვამია: „თუ
სვანეთი არ გინახავს, საქართველო არ
გინახავს“. პირველი სვანური კოში მა-
სწვევებელთა იმისა, რომ სვანეთი აქედან
იწყება.

სვანეთი – ბუმბერაზი მთები, ფოთ-
ლოვანი, შერეული თუ წიწვოვანი ტყე-
ები, დათოვლილი ქედები, მკაცრად მო-
მზირალი მწვერვალები, აქაფებული მდ-
ინარეები.

ენგურაპისი – ლურჯ მთებს შორის
მოქცეული ვეებერთელა, მწვანედ მოლ-
ივლივით წყალსაცავი...

ბერძნულ ცენტრალური გზიდან ვუბე-
ვეთ და შიხრასკენ ვიღებთ გეზს. თავს
დაგვეყურებს ორგუზიანი უშბა მის ძირში
შეკრებილებს.

მესტია. წმინდა ელია თეზბიეკლის
სახელობის დედათა მონასტერი. აქ იმ-
ყოფებიან წინამძღვარი, მონაზონი ელი-
საბედი, მონაზვნები: მარიაში, მარიაში
და ელენე; მორჩილები: ქეთევანი, ანა
და მარიაში. სანთლები ავანთეთ, ვილო-
ცეთ, ვიგალობეთ და იქაური გარემოთი
მოხიბლულებმა დაეტოვეთ ყვეაილებით
მოჩითული ეკლესიის ეზო.

მეორე დღეს მიხეილ ხერგეიანის სა-
ხლ-მუზეუმს ვეწვიეთ, შემდეგ – პაწვა-
ლი – საბაგირო გზა, 2338 მეტრი ზღე-
ის დონიდან, სვანეთის ეთნოგრაფიული
მუზეუმი და ბოლოს ფესტივალი.

სვენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნ-
ენ მომღერლები, მოცეკვავეები, მხატვ-
რული კითხვის ოსტატები. პირველი ნა-
წილი მესტიის ფოლკლორულმა ანსამბ-

ლმა „რიპომ“ დაასრულა, მეორე ნაწი-
ლი „ერისიონს“ დაეთმო.

იქვე სვერში გამოიფინათ სვანი მხ-
ატვრების ნამუშევრები, ხალხური რეწ-
ვის ნიმუშები, სვანური სამზარეულო და
აქვე იყო ყველაზე მთავარი – მაყურებ-
ელი: გერმანელები, ფრანგები, ინგლის-
ელები, პოლანდელები, პოლონელები,
რუსები, უკრაინელები, ინდოელები, ჩი-
ნელები, არაბები, ებრაელები, თურქები
და კიდევ სხვები. მხურვალე აპლოდის-
მენტებს არ იშურებდნენ ჩვენთვის, სად-
აც კი ვმღეროდით: სვენაზე, მუზეუმში,
საბაგირო გზაზე. ამ ყველაფრით აღტა-
ცებულებმა და ბედნიერებმა დაეტოვეთ
საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე.

უღრმესი მადლობა მათ, ვინც ასეთი
დიდი სიყვარულითა და პატივით მიგვი-
ღობ. დაგვანახა სვანი მასპინძლის გულ-
წრფელი სტუმართმოყვარეობა, პატივი-
სცემა და სიყვარული. დიდი მადლობა
წმინდა ელია თეზბიეკლის სახელობის
დედათა მონასტრის მსახურებს, გურამ
კვიციანის ოჯახს, ბაკუ ჩართოვანს და

ქეთევან ხოჯელანს, მათ ქალიშვილს ნა-
თიას, სვეტლანა ჩართოვანს და დალი
ფალიანს, „კლდის ვეფხვის“, მიხეილ ხე-
რგეიანის ძმისშვილებს: მიხეილს და გე-
ნრიხს, ლამარა კვიციანს და გეგე უდე-
სიანს სტუმართმოყვარეობისათვის და
უღრმესი მადლობა მესტიის მუნიციპა-
ლიტეტის კულტურის სამსახურის უფ-
როს ნარგეზ ნიურაიანს ფესტივალზე მი-
წვევისთვის, სადაც სამახსოვრო საჩუქ-
არი გადმოგვცა. მინდა, ჩემი წერილი
მურმან ლებანიძის ლექსით დავასრუ-
ლო:

„სვანეთში წავალ, კვლავ მეძახიან,
წელსაც მიხიბობენ ჭრელი ზღაპრებ-
ით,

სულით ხორცამდე ჩემი ხალხია,
ჩემი მთები და ჩემი ალაბები“.

მომავალ შეხვედრამდე, სვანეთო!

ნათელა კვიციანიძე
მონა სვანო სპლის
ანსამბლი „ათინათი“
„სთინათის“ წევრი



გაყოფილებას
არ ვაღალატო

მადლობას ვუცხადებთ რუსთაველის ქუჩის №12 ბინის პირველი სადარბაზოს მცხოვრ-
ებლები რაიონის გამგებელს, ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას, როგორც ენერგიულ, ნდობით
აღჭურვილ პიროვნე-



ას, პატრონების სიმ-
ბოლოს, დანაპირების
შემსრულებელს, ქალ-
აქის იერსახეზე მზრ-
უნველს, ზემოთ აღნი-
შნულ სადარბაზოსთი-
ან დროულად დადგე-
ული ესთეტიური და
ორიგინალური სკამის
გამო. მადლობას ვუც-
ხადებთ აგრეთვე, და-
წესებულებას, რომელ-
მაც ეს სკამი შექმნა.
მას სათავეში უდგას
ბატონი ელგუჯა კალ-
აძე, შესანიშნავი ხე-
ლმძღვანელი, სხვადა-
სხვა საპასუხისმგებლო
თანამდებობებზე ნამუ-
შევარი ადამიანი, რომ-
ელიც ახლაც ენერგ-
იულად აგრძელებს თავის
საქმიანობას და მუდმივად
აღამაზებს ქალაქს. მას მხარში
უდგანან დასაყრდენი, გამოცდილი თანაგუნდელები: ყოფილი პროკურორი მერაბ შეროზია,
მშენებელი ინჟინერი გუგუნი ჭანტურია და სხვები. მადლობა მათ, არც შეიძლება, ჩვენს
რაიონში სხვანაირად მიმდინარეობდეს შესასრულებელი სამუშაოები, რადგანაც სამტრედიას
აქტიური, წარმატებული დეპუტატი ჰყავს, რომელიც გვეამაყება სამტრედიელებს, გვჯერა
სამტრედიისა და სამტრედიელებისადმი მისი სიყვარულის გამო, რაც ნათლად ჩანს მის
მუშაობაში, ადამიანებთან დამოკიდებულებაში. ეს გახლავთ ბატონი გრიგოლ (გია) მიქელაძე.
აქვე მინდა, დავხირო, რომ მას ბევრი რამ გაუკეთებია სამტრედიისათვის დეპუტატობამდეც.
მინდა ვისარგებლო შემთხვევით და იმავე მოსახლეობის სახელით მადლობა გადავუხა-
ლო ბატონ კობა ბიბილეიშვილს ეზოში დამონტაჟებული დამის ლამპონის გამო. ეს ძალიან
ცოტა ნათქვამია ბატონ კობა ბიბილეიშვილზე, რადგანაც მართლაც დიდი შემართებით
მუშაობს მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური.

ყველა სამუშაო, რაც რაიონში სრულდება, არის დამსახურება რაიონის გამგებლის,
ბატონი ვალერიანე ფოცხვერიას, რის გამოც კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდით მას.

რუსთაველის ქუჩის №12 ბინის მცხოვრებლის სახელით
ახსენაოზის თანამდებობაზე ონისა ვახტანგის
სახელით: I წლის ბავშვი ლევანთაძე
„პირველი პირველი“ იმე, პინე საგნა პრინციპის

დიდოსტატი

ედგენება ჯონი ნადირაძეს

უნუმრად, წყნარად, სამტრედიის ქუჩებში დადის,
გამჭოლი მხერით, ფიქრით სავსე იდუმალებით,
უკვდავ ქმნილებას დიდოსტატის ჟამი გამოცდის,
უნდა ებრძოლოს ჟამთ დინებას დეთიურ ძალებით.
და სანამ ცოცხლობს ოსტატს მუდამ სდევს საფიქრალი,
სწორად გათვალე? ხომ ნამდვილად შეიმედები,
ბალავრის სიღრმე, მზიდი გრუნტის საიმედობა,
კედლების სისქე, გუმბათ-თაღთა საყრდენ-სვეტები?
დიდი ტვირთია, საღვთო სახლის განდონ აგება,
უნდა მოგდევე კირითხურის ნიჭი და გონი,
ტაძარი ესე, ქალაქს როგორ ესადაგება,
შენ აღასრულე ეს მისია, ბატონო ჯონი.
და დგას ტაძარი ცადაწვდილი, ნატიფი, თლილი,
საუკუნოვან ჩუქურთმებით შემკული, სათნო,
მტკიცედ ნაგები, შემოსილი, სწორად გათვლილი,
ვით რწმენა ჩვენი ქრისტე დმერთის, მყარი და სანდო.
დგას, ვით ლაზარე, სიკვდილისგან მკვდრეთით აღმდგარი,
თავისუფლების სიმბოლოდ და ნიშან-ხატებად,
და უბრუნდება ეკლესიას მრევლი, გამდგარი,
მეფე დავითი დიდგორს გვიხმობს კვლავ გამარჯვებად.
დავითის ტაძარს ეპოქისთვის სურდა გაესწრო,
ბრავო მაესტრო!

გულის კბირა

ედგენება სამტრედიას

დაგ-ღუგ, დაგ-ღუგ, ღუგ-ღუგ, ღუგ-ღუგ,
შენი გულის ძგერას ვუსმენ,
კუბილინის ისრის მაგვარ
მატარებლის გაგვას უძლებ.
სიმეხვიით ტკბილად კენესის
ფოლადის ლიანდაგები,
ვით ხალიჩა მზრუნველ დედის,
ფიანდანად დაგვეკები.
და ძვერს გული სიყვარულით,
და აცოცხლებს ქალაქს ტრფობა,
თანადგომა, სიხარული,
უფლის რწმენა, მეგობრობა.
დაქპრის ცაში თეთრი მტრედი,
კვლავაც იფრენს იმედია,
როგორც მშენიერი ლედი,
ლაშაზღები სამტრედია.
დაგ-ღუგ, დაგ-ღუგ, ღუგ-ღუგ, ღუგ-ღუგ,
გული უფრო სწრაფად გიძგერს,
რაც ხშირად სცემს კუბილინი
შენს ლამაზ მკერდს ტრფობის ისრებს.
ღე, გახშირდეს დაგ-ღუგო,
ვაგონ-ისრის რია-რია,
„სამტრედია, სამტრედია“,
შენს ქუჩებში გვიძღვრია.

აკაპი რუსაძე

უსკვერველი სიკვდილით გაჩაღისოჯაგდე

ბინდისფერია სოფელი...

და კიდევ უფრო დაბინდა ერთი წლის წინანდელმა ჭირმა წუთისოფლისამ.

ბინდისფერია სოფელი ჩიტივით გაფრენილი სიცოცხლის მოუკლავი წყურვილით, სიბერის გზამდე წამოწეული, თვალეზში გააგდრებული ღრუბლით.

“სოფელში შემოაღამდა, ბინდმა ძალივით დაფლითა...” – მზესავით ნათელი ორი ბიჭის სიკვდილის ეპოპეა ასე იწეება, უფრო სწორად, სიკვდილის შემდეგ დაწეებული სიცოცხლის ეპოპეა. გულში ჩაკრათ ერთმანეთი ბნელეთის კართან. და ასე იწევენ იქ, ფსკერზე. ერთმანეთის გადასარჩენად ხელს ხელი მისცეს, გულს – გული. ერთმანეთის სული საგზლად წაიღეს შავი სიკვდილის ბნელ გზაზე. ძმები ძმურად დაიღუპნენ, კაცები – კაცურად!

ერთი წლის წინ სოფელი შესძრა, ქვეყანა შესძრა, მთა და ბარი აატირა ძმების, იოანე და თემურ ვაშაქიძეების გარდაცვალებამ. ერთი წელია, გაუნელებულ ტკივილად, პირმოუკრავ ჭრილობად დასდის ცრემლი უნუგემოდ დარჩენილი ახალგაზრდა მშობლების თვალეზს. გლოვას ვერ ამთავრებს მშობლიური სკოლა, რომლის კედლებსაც ახსოვთ ბეჯითი და ჭკვიანი ბიჭები, სასახელოები,



წვევის პერსპექტივით. საიმედოები იყვნენ-თქო, ვთქვით და ამიტომაც აატირეს ქვეყანა. თუმცა, არა მხოლოდ ამიტომ, უბრალო, ალალ-მართალი, ვაჟკაცი ბიჭების სიყვარულიანი გული დააკლდა სოფელს და სამშობლოს.



სიძების წინა დღეს პლაკატი დარბაზში საკუთარი ხელით მოვხატე და გაგაკარი. ერთ-ერთზე ეწერა: “ჩვენ დავებრუნდებით”. დილით ვნახე, რომ ამ სიტყვების შუაში ვიდაცას შავად ჩაეწერა სიტყვა “არ”. დღესაც ვერ გეტყვით რატომ, მაგრამ მივხვდი, რომ თემური იხამდა. პლაკატი ჩამოვიღე. საკლასო ოთახში შემოვიდა თემური და მითხრა, იქ ერთი პლაკატი აკლიაო. გაბრაზებულმა ვუპასუხე, ის



საამაყოები, საიმედოები. მის ეზოში აცეკვებული მათი მოსწავლეობა ტკივილად დააბიჯებს იმ ხეების ჩრდილში, სადაც თითქოს გუშინ გულიანი სიცილით ანათებდა მზედ აბრიალებული მათი ბავშვობა.

ამ ეზოში ახლა პატარა, ლამაზ სკვერს ჰქვია ძმების, იოანე და თემურ ვაშაქიძეების სახელი. ამ სკვერს კიდევ ცოდნის სკვერს ეძახიან, რადგან ვანო და თემური განუყრელნი იყვნენ იმ ტაძრისგან, ცოდნის ტაძარი რომ ჰქვია.

რომ დასცლოდა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მესამე კურსზე იქნებოდა ვანო ვაშაქიძე, წარჩინებული სტუდენტი, ქართულ მედიცინაში საკუთარი სიტყვის სათქმელად რომ ემზადებოდა. არ დასცალდა გაეგო აბიტურიენტ თემურს, რომ ამავე უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა 100% გრანტიითა და ამერიკაში გა-

უკვე ერთი წელია და... იმ სამყაროდან გვეხმიანებიან განა მოგონებად, თითქოს აქ, ჩვენს გვერდით არიან და გვახსენებენ იმას, რაც არ უნდა დაგვავიწყდეს – ჭეშმარიტ სიყვარულს და გულწრფელ თავგანწირვას სიკვდილი არ უწერია!


არ ვიცი, ვისი სახელით ვწერ ამ სტრიქონებს, მაშის ტოლი თამაზ ნუცუბიძის, მასწავლებელ თამაზ ნუცუბიძის, კლასის დამრიგებლის, მეზობლის თუ მეგობრის. ვწერ მათი არყოფნით შეძრწუნებული კაცის სახელით, რომელსაც ეამაყება, რომ იცნობდა, ასწავლიდა ვანო და თემურ ვაშაქიძეებს.

თემურის კლასის დამრიგებელი გახლდით. აღარ გავეიმორებ, როგორი მოსწავლე იყო იგი. ერთი ღონისძიება მოვაწვევე სკოლაში, სახელწოდებით “ჩვენ წარსულს არ ვივიწყებთ”. შინაარსს გაეცნო და... ახლაც მესმის მისი სი-

ტყვეები – ეს ისეთი თემაა მასწავლებელ წელს უნდა გავიმეოროთ ამ სცენარით... წითელი ჩოხა მორგო და ლექსს კითხულობდა: “შენ, სისხლო ჩემო, სად არ დაღვრილო...” მის პათეტიზმში ჭეშმარიტი ემოცია იკითხებოდა. მერე კი თავად გახდა არდასავიწყებელი წარსული. თუმცა, წარსულს ვერ ვარქმევთ ვერც ერთს.

და ყოველ წელს ვიმეორებთ სკოლაში იმ ღონისძიებას, უკვე ვანო და თემურ ვაშაქიძეების ხსოვნას მიძღვნილს. სწორედ წელს, მათი გარდაცვალების წლისთავის აღნიშვნამდე ცოტა ხნით ადრე გავხსენით მათი სახელობის სკვერი.

ჭირისუფლობს დიდი ჯიხაიშის პირველი საჯარო სკოლა, დირექტორი მანანა ხაზალია და მთელი პედაგოგიკტივი. ცრემლი რა მოსატანია, მაგრამ ცრემლი დღესაც არ უშრება ვანოს კლასის ყოფილი დამრიგებლის, ელზა დევიძის თვალეზს. ჩემი კაცური ცრემლებიც, ალბათ, სანთლის შუქად მისდის ჩემი ყოფილი სადამრიგებლო კლასის მოსწავლის, თემურის და მისი ძმის, ვანოს გასანათებელ ბნელეთს. მახსენდება და მზარავს მოგონება, თემურის სკოლის დამამთავრებელ ღონისძიებაზე რომ მოხდა: “ბოლო ზარისთვის” ვემზადებოდით. განსაკუთრებით ვწერვიულობდი ჩემი სადამრიგებლო კლასის ღონისძიების გამო. ღონი-



პლაკატი არ გაიკვრება, როგორ გაბედე ამის გაკეთება-თქო. “მართლა არ დავებრუნდებით მასწავლებლო, ჩვენ ხომ მივდივართ უკვე. პლაკატი უნდა გაიკრას!” – მთხოვდა დაქინებით. მერე შვილი არ მოგყავს ამ სკოლაში? სოფლიდან მიდიხარ? – გავცხარდი. პლაკატი არ გამიკრია, მაგრამ არ ვიცი, რატომ – შევინახე.

მათი გარდაცვალების შემდეგ ელზა მასწავლებელმა ვანოს რვეული ნახა, რომელშიც დახატულია ზუსტად ისეთი საფლავი, ძმებს რომ გაუკეთეს. ვერ გეტყვით, ეს ორი შემთხვევა უბრალოდ დამთხვევაა თუ წინათგრძნობა, მაგრამ ...

ორივე ფურცელს ანდობდა საკუთარ ფიქრებს. ახლა ამ ჩანაწერებს სხვა ელფერი აქვთ, სხვანაირად იკითხება.

“... და ვინ ვარ სინამდვილეში? ვფიქრობ, მომავალი ცხოვრება ყველაფერს აჩვენებს.” – წერდა ვანო. “მომავალმა ცხოვრებამ” აჩვენა, რომ სიკვდილის შემდეგაც ცოცხლობ, თუ ეს დაიმსახურე!

“შინდა, სამყაროს მწვერვალეზს სულ ერთიანად ვხვდებოდე. შინდა შევიძლო, რაც სხვებმა ამაოდ სცადეს ჩემამდე!” – ოცნებობდა თემური. დიან, ეს ოცნება საკუთარი გარდაცვალებით აიხდინა, აიხდინეს წუთისოფლის ბინდს ერთად გაცილებულმა, ერთმანეთის ჩახუტებულმა ძმებმა, ფსკერზე სიკვდილით მარადისობის მწვერვალეზის დაპყრობა რომ შესძლეს.

ერთი წლის წინ ძმები, ვანო და თემურ ვაშაქიძეები ხელი ხელს, გული გულსმიცემულები ბედისწერას ძმურად შეეჭიდნენ. ძმებმა სიკვდილიც თბილის გულივით გაინაწილეს!

თამაზ ნუცუბიძე




მარი კიბიჭურისა და მამუკა ძნელაძის ბავშვობა

წელი წელს მისდევს, მაგრამ თქვენი არყოფნით გამოწვეული ტკივილი კიდევ უფრო მძაფრდება. ტრაგიკულად დასრულდა თქვენი ლამაზი, ახლად შექმნილი ოჯახის მოვლე, მაგრამ ბედნიერებით სავსე ისტორია. ის პატარაც თან წაიყვანეთ ამქვეყნად მოვლენა რომ ვერ მოასწრო. უფალმა დაგიმკვიდროთ სასუფეველი.

ნათელში იყოს თქვენი სულები!
ლვას ხაჩვას, სარბო კოსტანიძის, ლალი ნიკოლაიშვილი

რა ღახატა ვან გოგმა

ვინსენტ ვან გოგმა "ვარსკვლავიანი ღამე" 1889 წელს დახატა სიკვდილამდე ერთი წლით ადრე. ეს ნახატი ითვლება არა მხოლოდ მხატვრის ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევრად, არამედ დასავლეთის ხელოვნების ერთ-ერთ ღირებულ ნიმუშად.



2004 წელს კოსმოსური ტელესკოპის - "ჰაბლის" მეშვეობით მეცნიერები აკვირდებოდნენ ვარსკვლავის გარშემო ღრუბლის გრიგალებს, მტვერსა და აირს, რამაც ვან გოგის ეს ნახატი მოაგონათ. მათ დეტალურად დაიწვეს მხატვრის შემოქმედებაში სინათლის კვლევა და აღმოაჩინეს მეცხრედიამეტრიანი ტურბულენტური სტრუქტურების მოდელი. როგორც აღმოჩნდა, როცა ვან გოგი იმყოფებოდა საფრანგეთის სამკურნალო ცენტრში, მან აღბეჭდა ერთ-ერთი ურთულესი ცნება მეცნიერებაში - ტურბულენტობა.

თული ცნება მათემატიკასა და ფიზიკაში. ტურბულენტობა - ეს პიდროდინამიკის ცნებაა, რომლის დროსაც ენერგეტიკული კასკადის ნაკადში წარმოიქმნება მსხვილი გრიგალის ღრუბლები, რომლებიც წარმოქმნიან თავისთავიერებს, ოღონდ უფრო პატარა ზომის. მაგალითად, ტურბულენტობის წყალობით წარმოიქმნება ღრუბლები. დაახლოებით ასი წლის წინ ვან გოგმა შეძლო გაეაზრებინა

და გამოესახა ერთ-ერთი ურთულესი რამ, რაც ბუნებამ მოუვლია ადამიანს. მან შეაერთა თავის წარმოსახვაში მოძრაობის, დინებისა და სინათლის უდიდესი საიდუმლოებები. სხვა იმპრესიონისტების ნახატების ანალიზის შემდეგ, რომლებშიც ასევე იგრძნობა წუხილი, მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ისინი არ შეესაბამებიან ისეთ მათემატიკურ სიზუსტეებს, როგორც ვან გოგის ნამუშევრები.

აი, ასე შეძლო ვან გოგმა, თავის მშფოთვარე დღეებში, აღმოეჩინა ერთი ურთულესი და ყველაზე ჩახლარ-

ამირან მანჯგალაძე

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ხელმძღვანელი მუშაკი, კარგი სპეციალისტი და გულისხმიერი ადამიანი, ბატონი ამირან აპოლონის ძე მანჯგალაძე.

იგი 1926 წელს დაიბადა.

ღანიის სამუშაო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ თბილისის რეინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტი დაამთავრა და განაწილებით მუშაობდა როსტოვის რეინიგზზე.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ წლებს მანძილზე ეკავა ხელმძღვანელი თანამდებობები: იყო პარტიის სამტრედიის რაიკომის მდივანი, 14 წლის განმავლობაში გახლდათ რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, შემდეგ მუშაობდა დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისა და ბაშის სართავი ფაბრიკის დირექტორად, ტრესტ "სამტრედიაგაზის" მთავარ ინჟინრად.



ყველგან, ყველა უბანზე ბატონი ამირანი საოცარი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობას, რამაც დამსახურებულად მოუტანა მას დიდი ავტორიტეტი.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებული იყო სახელმწიფო ჯილდოებით.

გულისხმიერი, უნარიანი ხელმძღვანელის, ჩინებული ოჯახის თავკაცის ღირსეული სამტრედიელის ბატონ ამირან მანჯგალაძის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მათ გულში, ვინც ბატონ ამირანს იცნობდა, ვისაც მასთან უმუშავებია.

ნათელა გოლაშვილი, ნუზურ რუსაძე, თამაზ მიხაძე, გიორგი ურცხველი, გიორგი რამიშვილი

გახეთ "სამტრედიის მაცნე" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პიროვნება, ბატონი ამირან მანჯგალაძე და თანაუგრძნობს ჭირისუფალთ.

"საზოგადოება სამტრედიელი" მწუხარებას გამოთქვამს ღვაწლმოსილი სამტრედიელის, ყოფილი ხელმძღვანელი მუშაკის, ბატონი ამირან მანჯგალაძის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.


ბეჟან გოგია და თამაზ ნიურაძე თანაგრძნობას უცხადებენ ნატო ღუნდუასა და კახა ჩხარტიშვილს მამისა და სიმამრის შირს ღუნდუას გარდაცვალების გამო.

ის, რაც ჩვენს ორბანიზმში ხდება და არ ვიცით

ლიკა შონია აღამიანის ორგანიზმში ძალიან უცნაური და სიღრმისეულია. ყოველ დღე შეიძლება მასში ახალი აღმოჩენის გაკეთება. არსებობს ბევრი ისეთი ნიუანსი ანატომიის შესახებ, რომელიც აქამდე ვერ არ იცოდით.

პში ყოველდღიურად ახალი ბაქტერიები იბადებიან, რომლებიც საკუთარ ეკოსისტემას ქნიან. როგორც მეცნიერები ამბობენ, ის ძალიან წაგავს ტროპიკულ ტყეს - ძალიან დაბალანსებული სისტემაა. ბაქტერიების ნაწილი დომინანტებადაც გვევლინება.

ოვლებული. ასე მაგალითად, თქვენ შარშან საუკეთესო მეგობართან ერთად დასასვენებლად იყავით წასული და ძალიან გაერთეთ, რამდენიმე დღის წინ კი მასთან სერიოზულად იჩხუბეთ და აღარ ეკონტაქტებით. ახლა უკვე მასთან ერთად გატარებული შეგებულება არც ისე მხიარულად გეჩვენებათ და გგონიათ, რომ მაშინაც ვერ იყო რაღაც წესრიგში თქვენს შორის.



გემოს რეცეპტორები გულზეა განლაგებული

ჩვილ ბავშვს გემოს იმდენი რეცეპტორი აქვს, რომ მათი ნაწილი განთავსებულია ხახაში, თუმცა ზრდასთან ერთად ისინი ქრებიან. ზრდასრული ადამიანის რეცეპტორები კი დაახლოებით 10 ათასამდეა პირში განთავსებული. დაახლოებით 60 წლის ასაკში კი ამ რეცეპტორების რაოდენობა ნახევრდება. სულ ცოტა ხნის წინ მეცნიერებმა დაადგინეს, რომ გემოს რეცეპტორები, რომლებიც სიმწარეს შეიგრძნობენ, გულზეა განთავსებული. კუჭის წვეს რეცეპტორების გადნობა შეუძლია - კუჭის წვენი შეიცავს მარილმჟავას, რომელსაც, როგორც ცდებმა აჩვენა, რეცეპტორების გადნობა შეუძლია. 37 გრადუსზე გამთბარ მარილმჟავაში მეცნიერებმა სამართლებელი და ჩვეულებრივი ელემენტები მოათავსეს. 24 საათის განმავლობაში სამართლებლის 63% გადნა, ელემენტი კი მთელი შენარჩუნდა.

დილით უფრო გამზრები და მალე ვართ - მონარდებმაც კი იციან, რომ მალე ერთმანეთში მჭიდროდ არ არის ჩასმული, რის გამოც ახალგაზრდობის ადამიანი უფრო დიდია სიმალეში. ამ დროს წინა უფრო ნაკლებია ჩვეულებრივზე. ეს იმის გამო ხდება, რომ ძილის დროს ორგანიზმი განაგრძობს მუშაობას და ზედმეტი ცხიმები თავისით იწვევა. სუნთქვის, ოფიანობისა და შარდის გამოყოფის დროს დაახლოებით 2 კილოგრამი იწვევა ღამეში.

როდესაც სახეზე წითლებით, კუჭიც იცვლის ფერს - ცოტა ხნის წინ მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ქალის გულსკენ მიმავალი გზაც კუჭზეც გადის. კუჭზე უამრავი ნერვული ხაზი გადის, როდესაც შეეყვარებულები ვართ, შეგრძნება გვაქვს, თითქოს მუცელში პეპლები დაფრინავენ, ნერვიულობისა კუჭი იუმშება და სპაზმები გვემართება. ხოლო როდესაც სირცხვილისგან სხე გვიჩითვდება, ჩვენი კუჭიც წითლდება ამ დროს.

ყველა ადამიანს აქვს ულტრაიისფერი მხედველობა - როდესაც მედიკოსები კატარაქტზე სამკურნალო პროცესს ატარებენ, თვალდან იღებენ კრისტალს, რის შემდეგაც ადამიანის ულტრაიისფერი მხედველობა უჩნდება (ასე დაემართა კლოდ მონესაც). კრისტალი ჩვენს თვალს ულტრაიისფერი სხივებისგან იცავს.

ემოციები ქმნიან ცრუ მოგონებებს

ჩვენი მოგონებები ყოველდღე იცვლება და ისინი ჩვენს ემოციებზეა დამ-



მეცნიერებმა ჩაის საიდუმლოებაში მისი დნის გამოფხვრით გამოიციან

ჩინელმა გენეტიკოსებმა ჩაის ბუჩქის Camellia sinensis-ის დნ გამოფხვრეს და დაადგინეს, რატომ აქვს ჩაის უნიკალური გემო და კოფეინი.

ჩაის გენეტიკური სტრუქტურის გამოკვლევა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებთა აკადემიაში ჩატარდა. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ჩაის გემონი შედგება 3 მილიარდზე მეტი წყვილი ნუკლეოტიდებისგან. ასევე დადგინდა, რომ ამ მცენარის დნ-მა ევოლუციის განმავლობაში ორჯერ განიცადა სრული გენური დუბლიკაცია (ლათ. გაორმაგება): პირველი, ყველაზე ძველი, რამდენიმე სახეობას შეეხებოდა, მეორე კი უნიკალური იყო კამელიას სახეობისთვის. ჩინელი გენეტიკოსების ვერსიით, სწორედ მეორე დუბლიკაციამ აქცია ჩაის გემო უნიკალურად და საშუალება მისცა მცენარეს, შეეგებოდა სხვადასხვა გარემო პირობას. ამას გარდა, დადგინდა, რომ ჩაის გემონი კოფეინის სინთეზი უნიკალური მოვლენაა, რამდენადაც მისი გენეტიკური "წინაპრებისთვის" ეს უცხო იყო.

ჭიპი ბაქტერიების ბუდეა - ცოტა არ იყოს, სამინდოდ ჟღერს, თუმცა ჭი-

ივერი ჯულაყიძე მსოფლიოს პრიზიორია თავისუფალ ჭიდაობაში

ფინეთის ქალაქი ტამპერე 30 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით მასპინძლობდა მსოფლიო ჩემპიონატს თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. ამ მნიშვნელოვან სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სამტრედიელი ივერი ჯულაყიძე და ედემი ბოლქვაძე. ორივე მათგანი სამტრედიის საჭიდაო კლუბ "ფალაგანის" (დირექტორი ირაკლი მელაშვილი) აღზრდილები არიან. ივერიმ რამდენიმე რთული და დამაბული შეხვედრა მოიგო და მესამე ადგილი მოიპოვა. გვესაუბრება საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, ედემი ბოლქვაძე: " მინდა, მოვუღებ შეგახსენო მეთხველს 19 წლის ივერი ჯულაყიძის მიერ მოპოვებული სპორტული წარმატებები: 2014 წელს მან მსოფლიოს ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა, ამავე წელს ის ევროპის მესამე პრიზიორი გახდა თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, მომდევნო წელს ივერი ევროპის ჩემპიონი ხდება თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, რაც შეეხება მიმდინარე წელს, ის ევროპის მესამე პრიზიორი გახდა თავისუფალ ჭიდაობაში 23 წლამდე ასაკის მოჭიდავეთა შორის. ხოლო რამდენიმე დღის წინ, სპორტსმენმა კიდევ ერთხელ გაახარა ქართველი გულშემატკივარი და მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა. ივერის 8 წლიდან მე და ჩემი ძმა, მწვრთნელი ლაშა სტურუა ვეარჯიშებთ, მან არაერთხელ გვასახელა და იმედი მაქვს, ნიჭიერი, მონდომებულ და დიდი ნებისყოფის მქონე სპორტსმენს წინ არაერთი გამარჯვება ელის. ამ ჩემპიონატზე ივერიმ 5 შეხვედრა გამართა და ოთხი მოიგო, დამარცხა იაპონელი, ეგვიპტელი, ალჟირელი და სომეხი მოწინააღმდეგეები და ღირსეულად დაისაკუთრა მესამე ადგილი. მინდა მივულოცო ეს გამარჯვება ივერის, მის ოჯახს, ჩვენს მუნიციპალიტეტს და ჭიდაობის ყველა გულშემატკივარს. ვუსურვებ ივერის, არაერთხელ გავეხარებინოთ მსგავსი გამარჯვებებით.

ნათია ნავაშვილი



კულტურის ცენტრს ხელმძღვანელობს, უბნობს ქართულ ენაზე, სიგარეტს რომ გააბოლებს, ჩააფერფლებს სცენაზე.

გაგაჩვენა სპორტსმენებს მუნიციპალიტეტის გაგაჩვენა უნაპინძა

დასრულდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით გამართული " სპორტი ბარიერების გარეშე" ქუჩის ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატი. ჩემპიონატის გამარჯვებულ სამტრედიის გუნდის წევრებს და მათ მწვრთნელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერიან ფოცხვერიამ, გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილმა და კულტურის, განათლების, სპორტის, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ უმასპინძლეს. ეს ახალგაზრდები ახლახან დაბრუნდნენ ანაკლიიდან, სადაც ჩემპიონატი გაიმართა. ჩემპიონატს კი წინ უძღოდა იმერეთში გამართული ტურნირი. მუნიციპალიტეტის გამგებელმა ფეხბურთის გუნდის წევრებს და მათ მწვრთნელებს, ეგვიპტი დოლიძესა და კობა მიქაძეს გამარჯვება მიულოცა და წარმატებები უსურვა. ახალგაზრდა სპორტსმენებმა აღნიშნეს, რომ ძალიან დამაბული ტურნირი იყო და იმერეთის ტურნირში გამარჯვება ისე არ გასჭირვებიათ, როგორც ანაკლიაში გამართულ საქართველოს ჩემპიონატში. ეგვიპტი დოლიძე, მთავარი მწვრთნელი: "მათი დიდი იმედი მქონდა, ამ ბიჭებზე დეგას დღეს და ხვალ სამტრედიის ფეხბურთი, მოდის ნორმალური ცვლა, 6 წელია, ეს ახალგაზრდები ჩემთან ვარჯიშობენ, გვქონდა დავალება, გაგვეყვანა გუნდი ქუჩის ფეხბურთის პირველობაზე, ზონალური თამაში ჩატარდა ქუთაისში, იქ გავიმარჯვეთ 12 გუნდს შორის, ავიღეთ პირველი ადგილი, გამარჯვებული გუნდი გაუშვეს ანაკლიაში, იქაც 12 გუნდი თამაშობდა, საქართველოს ყველა გუნდი მონაწილეობდა, მწვრთნელები არ ვახლდით, ოთხჯერ მოიგეს, ფინალში მოუგეს რაჭის გუნდს და გახდნენ ჩემპიონები, დაიკავეს პირველი ადგილი."

კობა მიქაძე, გუნდის მწვრთნელი: "ეს ბავშვები, ყველანი სამტრედიის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები არიან, მათგან შეიქმნა ნაკრები, ჯერ ქუთაისში გაიმარჯვეს და მოიპოვეს ავტომატურად საგზური ანაკლიაში, სადაც ჩატარდა ანალოგიური გათამაშება, ოლონდ, რეგიონების გამარჯვებულ გუნდებს შორის, დებულა ითვალისწინებდა, რომ ქუჩის პრინციპების გათვალისწინებით, ბავშვებს თავად უნდა დაეყენებინათ შემაღველობა, ცვლაც და მწვრთნელები აქ აღარ ეყოფნენ, ბავშვებმა შესანიშნავად გაართვეს თავი ამ დავალებას და საქართველოს მასშტაბით გაიმარჯვეს".

მუნიციპალიტეტის გამგებელმა გამარჯვებული გუნდის წევრები ანსამბლ "ქართული ხმების" კონცერტის ბილეთებით დაასაჩუქრა, კონცერტი "Black Sea Arena"-ზე გაიმართა.

ნათია ნავაშვილი



თინათო ცაგურიას!

პატივისცემითა და კეთილი სურვილებით გილოცავთ დაბადების დღეს, მრავალს დაესწარით, ოჯახურ კეთილდღეობას და წარმატებებს გისურვებთ საქვეყნო საქმეში!

"საპარალიმპიკი მაცნე" რედაქცია

ქეთევან ჭავჭავაძის!

დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, დიმიტმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. ისარე და იღვებრძელე!

მელა ჭავჭავაძე



რედაქციის მისამართი: საპარალიმპიკი მაცნე, რუსუბლიკის ქ. №6 ტელ: 790 391839



დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭავჭავაძე
გამომშვეები რედაქტორი თამაზ ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბუნაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა მამა პაპაძე